# ახალი განათლება

2011 წელი, 12-18 მაისი

ფასი 1 ლარი

№18 (532) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# CAT ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში

## ერთხელ და სამუდამოდ ვთქვათ უარი ტყუილზე



23 მაისს, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში, CAT-ის სისტემით, წელს პირველად, იწყება გამოსაშვები გამოცდები. ბუნებრივია, საატესტატო გამოცდებისაკენ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი და ინტერესს იწვევს მეთორმეტეკლასელთა ატესტატის აღების ახალი ფორმა. დაგროვდა უამრავი შეკითხვა, რომელიც ამ სიახლის დანერგვასთან ერთად გაჩნდა – პროცედურულ, შინაარსობრივ თუ ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული. სწორედ ამ ინფორმაციის დეტალურად გაცნობის მიზნით, განათლების ეროვნულმა ცენტრმა მედიის წარმომადგენლებისათვის, 8 მაისს, სასტუმრო „ბომონდ-გარდენში" ერთდღიანი სემინარი მოაწყო. გამოსაშვები გამოცდების მიზანი და ასპექტები, პროცედურული საკითხები, გამოცდების პროგრამული უზრუნველყოფა – ის ძირითადი თემებია, რომელზეც ცენტრის თანამშრომლებმა დეტალურად ისაუბრეს.

სემინარში მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი.

გვერდი 2

## გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგები ვებგვერდზე – www.naec.ge – გამოაქვეყნა

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტთა ბაზის ფორმირება.

2011 წელს 35 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა. აბიტურიენტების უმეტესობამ პირველ არჩევნად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტები მიუთითა.

7-ვე არჩევანის გათვალისწინებით, განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობით ტექნიკური უნივერსიტეტი ლიდერობს, მეორე ადგილზეა ილიას უნივერსიტეტი, მესამეზე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პირველი არჩევანის მიხედვით, ლიდერობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტები; წელს პირველად, პირველი არჩევანის მიხედვით, ათეულში მოხვდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი.

კონკურსი (განაცხადების რაოდენობა 1 ადგილზე) ყველაზე მაღალი აღმოჩნდა თავდაცვის ეროვნული აკადემიის, სამედიცინო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.

C M Y K

გამოსაშვები გამოცდები

# CAT ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში

## ერთხელ და სამუდამოდ ვთქვათ უარი ტყუილზე

*პირველი გვერდიდან*

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი:**

დაახლოებით ორ კვირაში, საქართველოს მასშტაბით, პირველად ჩატარდება CAT-ის სისტემით გამოსაშვები გამოცდები. ეს არის უპრეცედენტო მაგალითი, ვინაიდან ლოჯისტიკურად ძალიან რთული გასამართი სისტემაა. ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, რომელიც ამ ტიპის გამოცდებს ეროვნული მასშტაბით განახორციელებს. დაახლოებით 15 ათასი მოსწავლე ერთდროულად შევა სერვერში და დაიწყებს გამოცდის ჩაბარებას. საქართველოში ჩამოვიტანეთ ყველაზე ძლიერი სერვერები, რომელიც დღესდღეობით ამიერკავკასიაში არსებობს. გარდა ამისა, დაახლოებით 500 სპეციალისტი აწერსიგებს რეგიონებში არსებულ სერვერის პრობლემებს. შინაარსობრივად ტესტები მზადაა.

უახლოეს დღეებში საქართველოში უკვე შემოვა კომპიუტერები, რომლებზეც მოსწავლეები გამოცდებს ჩააბარებენ, ჩაირთვება სერვერები, ჩაიტვირთება საგამოცდო პროგრამები და 23 მაისამდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კიდევ ერთხელ ჩატარდება გენერალური რეპეტიცია. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ლოჯისტიკურად ეს სისტემა გაცილებით რთულია, ვიდრე ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გამოცდები პრობლემების გარეშე ჩატარდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას, პირველ რიგში, ჟურნალისტებს კარგად ესმოდეთ ის პროცედურები, რომლის გავლაც მოუწევთ სკოლებს, მოსწავლეებს გამოცდების ჩასატარებლად, ამიტომაც ჩვენი დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამ ინფორმაციით უზრუნველყოფას ემსახურება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენი დახმარება საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ვიდრე გამოსაშვები გამოცდების ჩატარების გადაწყვეტილებას გამოვაცხადებდით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს იყო ერთადერთი და გარდაუვალი გზა იმისათვის, რომ ავამაღლოთ განათლებისა და სწავლების დონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი**:

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია გქონდეთ ზუსტი და დეტალური ინფორმაცია გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით, თუმცა მზად ვართ ერთიანი ეროვნული გამოცდების ირგვლივ არსებულ კითხვებსაც ვუპასუხოთ. უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ მართლაც ძალიან სერიოზული პროექტის განხორციელებას ვაპირებთ და დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებით განხორციელდება. რამდენიმე დღე დარჩა გამოცდებამდე, დაგროვილია უამრავი კითხვა და თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია, ზუსტი პასუხები.

ორიოდე სიტყვით იმის შესახებაც მინდა მოგახსენოთ, თუ რატომ იქნა ასეთ მოკლე დროში მიღებული გადაწყვეტილება, რომ მაინცდამაინც წელს ჩაგვეტარებინა გამოსაშვები გამოცდები ასეთი სისტემით; რატომ იყო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ასეთი რთული სისტემის ასე მოკლე ვადაში დანერგვა. პირველ რიგში, აუცილებლობა გამოიწვია ერთმა ყველასთვის გასაგებმა მიზეზმა– როდესაც გაცხადდა იმის შესახებ, რომ დაინერგოს გამოსაშვები გამოცდების სისტემა სკოლებში და ეს დაევალა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ბუნებრივია, მოლოდინი იყო, რომ გამოცდები ისეთივე ფორმით ჩატარდებოდა (თუნდაც ობიექტურობის თვალსაზრისით), როგორც 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები. თუმცა, ისეთივე საგამოცდო ცენტრები, როგორიც გვაქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს, ამ შემთხვევაში, არ გამოდგება სულ უბრალო მიზეზის გამო – საუბარი გვაქვს მოსწავლეებზე, მეთორმეტეკლასელებზე, რომელთაც სოფლის სკოლებიდან ყოველდღე მოუწევთ საგამოცდო ცენტრებში სიარული ან, მშობლებთან ერთად, დაახლოებით 10 დღის განმავლობაში, საგამოცდო ქალაქებში ცხოვრება. ასე რომ, ორიენტაცია პირდაპირ სკოლებზე უნდა აგვეღო.

თქვენ იცით, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს, მიუხედავად იმისა, რომ ნაკადები გვაქვს, აბიტურიენტები ერთ ნაკადზე ღებულობენ ზუსტად ერთიდაიგივე ტესტს იმის გამო, რომ ისინი თანაბარ პირობებში მოვათავსოთ. პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია, მაგალითად, ურთიერთდახმარებასთან ან გადაწერასთან, სხვანაირად ვაგვარებთ. 15 საგამოცდო ცენტრის გაკონტროლება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე 2000 სკოლის. კერძოდ, ყველა საგამოცდო ცენტრი დაყოფილია სექტორებად და თითო სექტორში 15 აბიტურიენტი ზის, მათზე მიმაგრებულია ორი მეთვალყური, იქვე არიან ცენტრის თანამშრომლებიც, დამონტაჟებულია ვიდეოთვალი, არსებობს ადმინისტრატორი, კოორდინატორი, თანაშემწე და ა.შ. ეს სისტემა, როგორც იცით, აწყობილია, რაც შეუძლებელია 2000 სკოლაში. აქედან გამომდინარე, ორიენტაცია უნდა აგვეღო ისეთ სისტემაზე, რომელიც, ელემენტარულად, გადაწერისა და ურთიერთდახმარების პრობლემას მოაგვარებდა, აგრეთვე, გვექნებოდა 2000-ვე სკოლის გაკონტროლების შესაძლებლობა. ბუნებრივია, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შეგვერჩია სისტემა, რომელიც ამას უზრუნველყოფდა და შევთანხმდით CAT-ის სიტემაზე. ჩვენ ველოსიპედი არ გამოგვიგონია, CAT-ის სისტემა აპრობირებულია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა, როგორც ბატონმა დიმიტრიმ ახსენა, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა იქნება პირველი, რომელიც ასეთი მასშტაბით და ასეთი დატვირთვით გამოიყენებს ამ სისტემას. გამოსაშვები გამოცდების დროს ველით კონსულტანტებსა და კოლეგებს აშშ-დან და ჰოლანდიიდან. ისინი ჩვენთან ერთად დააკვირდებიან საგამოცდო პროცესს და მეტიც, ასი თვალი და ასი ყურია მომართული ახლა საქართველოს მისამართით, რადგან მართლა ძალიან აინტერესებთ, როგორ ჩატარდება გამოცდები და არის თუ არა შესაძლებელი ქვეყანაში ასე ფართო მასშტაბით განხორციელდეს ეს პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ CAT-ის სისტემა აპრობირებულია სხვა ქვეყნებში, ის ალგორითმი და პროგრამა, რომელიც ჩვენს მეთორმეტეკლასელებს მოემსახურება, ჩვენთან შეიქმნა, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ამაზე წელიწადზე მეტია მუშაობენ ჩვენი თანამშრომლები და სახელიც კი მოვუფიქრეთ, აბრევიატურა – GCAT, ამის სრული უფლება გვაქვს.

იყო პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რამდენად არიან მზად მოსწავლეები კომპიუტერებთან სამუშაოდ. ამიტომაც დავნერგეთ რამდენიმე აპრობაცია მთელი წლის განმავლობაში – მოსწავლეებს მივეცით საშუალება, გაცნობოდნენ საგამოცდო პროგრამას, რომელიც მართლაც ძალიან მარტივი მოსახმარია. ეს მხოლოდ მარტივი კომპიუტერული ჩვევების ფლობას გულისხმობს. ერთადერთი, რაც მოსწავლემ უნდა იცოდეს, ესაა – როგორ მიიტანოს კურსორი სწორ პასუხამდე და როგორ დააჭიროს ღილაკს მის დასადასტურებლად. მეორე, რაც ამ პროგრამასთან და პროცესთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა – სრულიად ახალი, ინოვაციური, დღესდღეობით ყველაზე ეფექტური პროგრამაა იმ თვალსაზრისით, რომ მაქსიმალურად ზომავს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, რაც, ბოლოსდაბოლოს, გამოსაშვები გამოცდის მიზანია. ბევრი რამ გავითვალისწინეთ, აპრობაციების შედეგებზე დაყრდნობით. ლოჯისტიკა არ არის მარტივი, მაგრამ შევიტანეთ კორექტივები. საბოლოო სახე მიიღო ლოჯისტიკურმა, ადმინისტრირების მხარემ და ვადებმა. ეს შეხვედრა სწორედ რომ დროულია – თქვენ იქნებით პირველები, ვინც ზუსტ ინფორმაციას მიიღებთ ყველაფერ იმის შესახებ, რასაც ვაპირებთ 23 მაისიდან; სწორედ თქვენი მეშვეობით გვინდა გავაგებინოთ, პირველ რიგში, მშობლებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან აჟიტირებულები; მინდა ყველა დავამშვიდო და დავაწყნარო, რომ არსებულ რეალობას, რასაკვირველია, ვითვალისწინებთ და ეს გამოიხატება სწორედ იმაში, რომ წელს ბარიერი მნიშვნელოვნად დაბალი იქნება, რათა ბევრ მოსწავლეს პრობლემა არ შეექმნას. ეს გამოცდა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ პირველად ტარდება, არამედ იმიტომაც, რომ ბევრი რამ შეიცვლება უკვე მომავლისთვის. თუნდაც ის, რომ 1500 სკოლაში მოგვარდება ინფრასტრუქტურა. თქვენ იცით, რომ დიდი ხნით ადრე დაიწყო სკოლების კომპიუტერიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ (რაც ჩვენ ვნახეთ), ბევრ სკოლაში კომპიუტერულ კლასებს არ იყენებენ. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მხოლოდ სკოლებს არ ვადანაშაულებ, რა თქმა უნდა, – არ ჰყავდათ IT-ის პედაგოგები, რაიონებში არ იყო სპეციალისტი, ვისაც შეიძლებოდა ჩაბარებოდა ეს ყველაფერი და ა.შ. საბოლოო ჯამში, შედეგად მივიღეთ ის, რომ ინფორმატიკა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი გახდა საშუალო განათლების საფეხურზე, სათანადო დოზით არ ტარდებოდა სკოლებში და მოსწავლეები მოკლებულნი იყვნენ, ამ კუთხით, თუნდაც მინიმალური ცოდნის მიღებას. ამიტომ მთელი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა ყველა სკოლაში მოგვარდეს ქსელი. ბუნებრივია, მომავალი წლისთვის ეს პრობლემა უკვე მოგვარებული იქნება – სექტემბრიდან მოსწავლეებს (არა მხოლოდ მეთორმეტეკლასელებს) შესაძლებლობა ექნებათ, სრულად გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერები.



რაც შეეხება ბარიერს: რადგანაც ეს არის სასერტიფიკაციო ტიპის გამოცდა, ის, ვინც გადალახავს ბარიერს, მიიღებს ატესტატს. რამდენად გადალახავს ბარიერს, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, გადალახოს და დააკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნები. გამოცდის დამთავრებისთანვე, მოსწავლე მომენტალურად იგებს შედეგს. რამდენი იქნება ბარიერი – ჩვენ შეგნებულად შევარჩიეთ შკალა, სადაც განთავსდება შედეგები, 5-დან 10 ქულამდე. ანუ მოსწავლე, რომელიც გამოცდის ბოლოს შეფასდა, მაგალითად, 9,8 ქულით, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან კარგი შედეგი აქვს კონკრეტულ გამოცდაზე, ან ცუდ შემთხვევაში, თუ მიიღო 5,2 ეს იმას ნიშნავს, რომ არც თუ ისეთი სახარბიელო შედეგი აქვს. რა იქნება საბოლოოდ ბარიერი, ჯერჯერობით, შეგნებულად არ ვადგენთ. როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ წელს პირველი წელია და უნდა გავითვალისწინოთ არსებული რეალობა, სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით, ეს იმას გულისხმობს, რომ პირველი წელიწადი იქნება ძალიან მარტივი – მარტივი დავალებების ბლოკის ხარჯზე შეძლებს მოსწავლე ბარიერის გადალახვას, არ მოუწევს საშუალო ან რთული დავალებების შესრულება ბარიერის გადასალახად. მაგრამ რას ვგულისხმობთ იმაში, რომ წელს გამოცდები მარტივი იქნება – პირველ რიგში, იმას, რომ ბარიერი იქნება შედარებით დაბალი, ვიდრე ვვარაუდობთ შემდეგ წელს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია წინასწარი მიახლოებითი პროგნოზირება, აპრობაციების შედეგების საფუძველზე ბარიერის დადგენა და წინასწარ გამოცხადება, მაგრამ ისევ ვიმეორებ, პირველ წელიწადს ვამჯობინებთ, გვქონდეს ყველა გამოცდის შედეგები. 1 ივნისს არის ბოლო გამოცდა და 2 ვნისს გამოვაცხადებთ ბარიერს, ისევ მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე. არ არის გამორიცხული, ბარიერი დადგინდეს საგნების მიხედვით. ჩემი აზრით, პირველ წელს ეს არის უკეთესი გზა – ბარიერი გამოცხადდეს შედეგების შემდეგ. გარკვეული ფორმით პროგნოზირება, ბუნებრივია, შეიძლება, აპრობაციებიც ამისთვის არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში არ გამოსწორებულა ვითარება. მინიმუმ ერთი-ორი წელი მაინც სჭირდება, რომ ცვლილება პოზიტიური გახდეს. აქედან გამომდინარე, არ გავრისკეთ და ბევრი რომ არ დარჩენილიყო ატესტატის გარეშე, ყველაზე კარგი გზა ავარჩიეთ – შედეგების შემდეგ იქნეს გადაწყვეტილება მიღებული ბარიერის დადგენის თაობაზე.

რასაკვირველია, დავალებათა ბანკი შეიცავს ყველა ტიპის დავალებას – ძალიან მარტივს, მარტივს, საშუალოს, რთულს – ეს აუცილებელია და მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს, მაგრამ ამავე დროს მარტივი დავალებების ხარჯზე შეძლებს მოსწავლე ბარიერის გადალახვას. სხვათა შორის, პრეტესტის დროს და აპრობაციის შემდეგ გამოითქვა პრეტენზიები, რომ თუ ასეთი დავალებები იქნება საგამოცდოდ, ძალიან ბევრს გაუჭირდება. საქმე ისაა, რომ პრეტესტისა და აპრობაციის დროს მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ მარტივ დავალებებზე არ ვავარჯიშებთ. მათ აქვთ შანსი, ყველა ტიპის დავალებას შეხედონ და მიხვდნენ, როგორ გამოიყურება მარტივი ან საშუალო ტიპის დავალება. ვინც ვერ გადალახავს ბარიერს, მას მომავალ წელს მოუწევს იმ საგნების ჩაბარება, რომელშიც ვერ გადალახა. ჩამონათვალში მოხვედრილი რვა საგანი თანაბრად მნიშვნელოვანია, ამიტომ, ბუნებრივია, ქართული ენა და ლიტერატურა ვერ დააბალანსებს ფიზიკას ან პირიქით. სისტემაში აქცენტი გაკეთებულია არა დავალებების რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე.

სულაც არ ვთვლი, რომ საგამოცდო სისტემის შემოღება ყველაზე ეფექტური საშუალებაა სასწავლო პროცესის ხარვეზების გამოსასწორებლად, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთი სისტემის შემოღებით,

## გამოსაშვები გამოცდები

რაღაც ტყუილზე ვამბობთ უარს (იმიტომ, რომ ყველა იღებდა ატესტატს). აი, ახლა რა პრობლემაც გამოჩნდა, იცით, რა არის? – მე არ მისწავლია არასდროს ფიზიკა ან ქიმია და რატომ მაძალებთ? შეიძლება მას მართლა არ უსწავლია, ამაზე ყველა თვალს ვხუჭავდით, მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნდა, რომ საბაზისო ცოდნა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს ფიზიკაში და ქიმიაშიც, ნულოვანი ცოდნით მაინც იღებდა ატესტატს. ახლა ყველა ხმამაღლა ვამბობთ, მოდით, დავანებოთ ამ ტყუილს თავი. ეს არის არსებული რეალობა – არ ვიცით ფიზიკა. ამაში ყველაზე ნაკლებად დამნაშავე მოსწავლეა, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ თავს აღარ მოვიტყუებთ. ამიტომ შეიძლება ბარიერი სასაცილოდ დაბალიც კი იყოს, სამაგიეროდ, ტყუილს აღარ ვიტყვით. შემდეგი წლიდან კი გეზი აუცილებლად შედეგების გაუმჯობესებაზე უნდა ავიღოთ.

ძალიან კარგია, თუ გვექნება რაიმე მექანიზმი იმისთვის, რომ მოსწავლეებმა სულ ცოტა მაინც მიამატონ იმ ცოდნას, რაც აქამდე ჰქონდათ. მე არ მეცოდება არც ერთი მეთორმეტეკლასელი, თუ მას მეტი მეცადინეობა მოუწია, თუნდაც ღამის გათენების ხარჯზე, სამაგიეროდ, ეს ცოდნა მას დარჩება.

### გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **სოსო გოგილაძე:**

ჩემი პრეზენტაცია ეხება წესებს, როგორ უნდა ჩატარდეს გამოცდა.

პირველ რიგში, იმის შესახებ მოგახსენებთ, რით არის მნიშვნელოვანი გამოსაშვები გამოცდების ამ სახით ჩატარება. 2004 წელსაც დიდი ვნებათაღელვა იყო, როგორ ჩააბარებდნენ აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს, მაგრამ 2005 წლიდან, ფაქტობრივად, დაინერგა ახალი მორალი და ეს მორალი, პირველ რიგში, ძალიან კარგია ბავშვებისთვის, მათ იციან, სადაც ჩაირიცხნენ და ჩაირიცხნენ მხოლოდ თავიანთი ცოდნით. ახალგაზრდა ამით იწყებს წმინდა სინდისით ცხოვრებას – არჩევანი, რომელიც გააკეთა არის მხოლოდ მის სინდისზე. დაახლოებით, ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს ახლა საქმე, შეიძლება უფრო მეტთანაც. ყველამ ვიცით, რომ სკოლებში, განსაკუთრებით მეცხრე კლასის ზევით, ხდება მოსწავლეთა დაყოფა რამდენიმე კატეგორიად – ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებად. როგორც წესი, სავალალო მდგომარეობა გვაქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. ერთ პატარა ინფორმაციას მოგაწვდით: გასულ წელს ფიზიკის ჩაბარების სურვილი გამოთქვა 82-მა აბიტურიენტმა, უმაღლეს სასწავლებლებში კი, სადაც ფიზიკის ჩაბარება მოითხოვებოდა, 1000-მდე ადგილი იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გრანტის მოპოვება ადვილი იყო იმათთვის, ვინც ფიზიკას აბარებდა, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ფიზიკის სწავლება სკოლებში.

მინდა დავუბრუნდე ისევ იმას, თუ რა ხდება ამ გამოცდების დამკვიდრებით. ხდება ის, რომ ბავშვს ეცოდინება, დაუმსახურებლად ატესტატს ვერ მიიღებს. რაში იყენებს ესა თუ ის ადამიანი ატესტატს, რომელიც უმაღლესში სწავლის გაგრძელებას არ აპირებს, ეს სხვა საკითხია. ბავშვი, რომელსაც, ნულოვანი ცოდნა აქვს ფიზიკასა თუ ქიმიაში და ატესტატს მაინც იღებს, ცხოვრებას იწყებს იმ სასტარტო პირობით, რომ შეიძლება ცხოვრებაში ბევრი რამ დაუმსახურებლად მიიღოს. ამ გამოცდებით, პირველი, რასაც მივიღებთ ის არის, რომ მოზარდი გააცნობიერებს, თუ არ იცის, ატესტატს ვერ მიიღებს – ანუ დაემორჩილება იმ წესებს, რაც არსებობს და მხოლოდ ასე იქნება მისთვის ყველა გზა ხსნილი, მეორე, ეს აამაღლებს სწავლების დონეს. მასწავლებლებს ბერკეტი უჩნდებათ, რაც აქამდე არ ჰქონდათ. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე, არ სწავლობს ფიზიკას იმის გამო, რომ არ სჭირდება ცხოვრებაში, მასწავლებელს გამოსაშვები გამოცდა უქმნის ბერკეტს, რომ ასეთ მოსწავლეს საგანი შეასწავლოს.

როგორ იქნება ორგანიზებული გამოცდები: დაახლოებით ერთი კვირით ადრე მოსწავლე მიიღებს ეროვნული გამოცდების მსგავს მოსაწვევს, რვა გამოცდის ცხრილით. ერთი და იგივე ბავშვი რვავე გამოცდას ჩააბარებს ერთი და იმავე დროს. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტები გამოცდებს სხვადასხვა დროს აბარებენ, რაც გამოცდაზე დაგვიანების ალბათობას ზრდის. რეგისტრაცია რამდენიმეეტაპიანია და ყოველ ეტაპზე ხდება მოსწავლის იდენტიფიკაცია. მას თან უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა და ჩვენ მიერ გაგზავნილი მოსაწვევი ბარათი.

რა შეიძლება შეიტანოს გამოცდაზე – პირადობის მოწმობა, მოსაწვევი ბარათი, წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები; ოთხ გამოცდაზე (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია) მას დასჭირდება საწერკალამი, ამ გამოცდებზე შავი სამუშაოს შესასრულებლად ეძლევა ფურცელი. სკოლის შენობაში გამოყოფილი იქნება საგამოცდო ტერიტორია – საკლასო ოთახები, დერეფნის ჩათვლით.

საგამოცდო სექტორამდე და თვითონ სექტორში გამოყოფილი იქნებიან სპეციალური მეთვალყურეები – ა და ბ, ისინი ყველა საგამოცდო ცენტრში იგზავნებიან თბილისიდან. მათი მომზადება დიდი ხანია მიმდინარეობს და გადანაწილება შემთხვევითი მეთოდით მოხდება. საგამოცდო კოდი წინასწარ არ იცის არც მეთვალყურემ და არც მოსწავლემ. ეს დაცულობის კიდევ ერთი მექანიზმია, სხვა მექანიზმებთან ერთად. მას შემდეგ, რაც მოსწავლე კოდს შეიყვანს, მისცემს დასტურს და შევა სისტემაში, პროგრამა იწყებს საგამოცდო საკითხების მიცემას. გამოცდა, მაქსიმუმ, 1 საათი და 40 წუთი გაგრძელდება. ეს ყველაზე უკიდურესი შემთხვევაა. CAT-ის სისტემა იმითაც არის მომხიბლავი, რომ შეიძლება მოსწავლეს გაცილებით ადრე დაუსვას დიაგნოზი და გამოუცხადოს ქულა, რომელიც მიიღო.

რაც შეეხება უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებით ეტაპს, ისევე როგორც მისაღებ გამოცდებზე, სკოლების საგამოცდო ცენტრებშიც, ყველა სექტორზე დამონტაჟებულია ვიდეოთვალი და მიმდინარეობს საგამოცდო პროცესის უწყვეტი ჩაწერა. თვითონ საგამოცდო პროცესი 8- 8,5 საათის განმავლობაში მიმდინარეობს, ჩანაწერი ათი საათის გვაქვს. ეს არის მოკლედ ის წესები, რომელიც უნდა დაიცვას მოსწავლემ და მეთვალყურემ.

ორი სიტყვით აპელაციასაც შევეხები. ეს სისტემა ისეა აწყობილი, რომ თუკი ვინმე რაიმეთი უკმაყოფილო იქნება, ან რაიმე მოეჩვენა, ან დარწმუნებულია, რომ ასე მოხდა, ირკვევა ტექნიკური აპელაციის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე საღამოს ან მეორე დღეს ხდება ამ ჩანაწერის ამოღება და სიტუაციის განხილვა. ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან განსხვავებით, გამოსაშვები გამოცდებისთვის დამონტაჟებულია თანამედროვე ვიდეოკამერები, რაც ხმის ჩაწერის საშუალებასაც იძლევა, ეს კი სააპელაციო პროცესს უფრო გააიოლებს.

### გამოცდების ეროვნული ცენტრის IT ჯგუფის ხელმძღვანელი **დავით ჭანკოტაძე:**

საგამოცდო სისტემა იქმნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ ყოფილიყო, რაც შეიძლება მარტივი და მინიმალური მოთხოვნები კომპიუტერული ცოდნისადმი, რომ მოსწავლეს მთელი კონცენტრაცია საგნობრივ ნაწილზე გადაეტანა. პირველ რიგში, მოსწავლემ უნდა შეიყვანოს თავის თერთმეტნიშნა კოდი, ამის შემდეგ სისტემა დაუწერს სახელს და გვარს. კონფიდენციალურ ველში ჩასაწერი ინფორმაცია მოთავსებულია სპეციალურ უწყისში, რომელიც იხსნება მეთვალყურის მიერ, მის მიერვე ხდება კოდის შეყვანა. ეს კოდი ყველა ბავშვისთვის უნიკალურია, ერთი კოდის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ერთ გამოცდაზე, ანუ თითოეულ მოსწავლეს ყველა გამოცდაზე სხვადასხვა კოდი ექნება.

ვეცადეთ ეკრანი ყოფილიყო რაც შეიძლება ნაკლებად დატვირთული დამატებითი ინფორმაციისგან, მაგრამ ვერ ავცდით ერთ პატარა მაჩვენებელს, რომელიც ეკრანის თავშია განთავსებული და აღნიშნავს ე.წ. დროის რესურსს.

ყველა კითხვას აქვს ოთხი შესაძლო პასუხი, სწორი პასუხის მონიშვნის შემდეგ მან უნდა დააჭიროს დასტურს.

ჩვენ ვთქვით, რომ ტესტის მიმდინარეობა არის საათი და 40 წუთი, საიდან მოვიდა ეს დრო. საგნობრივი ჯგუფებიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ საშუალოდ თითო დავალების საპასუხოდ საჭირო იქნებოდა 2 წუთი. ეს არის ის დრო, რა დროშიც, ალბათ, საშუალოზე დაბალი ცოდნის მქონე მოსწავლემ უნდა შეძლოს პასუხის გაცემა. როგორც გითხარით, მაქსიმალური დავალებების რაოდენობა არის 45, აქედან გამომდინარე, გამოვიდა 90 წუთი, ამას დაემატა 10 წუთი და მივიღეთ საათი და 40 წუთი. თითოეული დავალებისათვის პირობითად 2 წუთია განსაზღვრული. მოსწავლეს შეუძლია დავალებებზე მუშაობისას დარჩენილი 10 წუთი გამოიყენოს რეზერვის სახით.

მოსწავლეს დავალებებზე პასუხის გაცემისას დროის რეზერვის კონტროლი რომ გაუმარტივდეს, მონიტორზე ჩანს დროის ლიმიტის აღმნიშვნელი ზოლი, რომლის ნახევარი შეფერილია, რაც იმას ნიშნავს, რომ რეზერვის სახით აქვს 10 წუთი.

თუ მოსწავლე დავალებას 2 წუთზე უფრო ადრე პასუხობს, დარჩენილი დრო მის რეზერვს ემატება და ზოლის მუქი ნაწილი იზრდება.

თუ მოსწავლე თითოეულ დავალებას 2 წუთზე მეტს ანდომებს, ეს ლიმიტი თანდათან იწურება, შესაბამისად, ზოლის შეფერილი ნაწილი მცირდება.

დროის რეზერვის ამოწურვის შემდეგ თითოეულ დავალებაზე პასუხის გასაცემად პროგრამა მოსწავლეს მხოლოდ 2 წუთს აძლევს. 2 წუთის გასვლისთანავე დავალება ქრება და ჩნდება შემდეგი დავალება.

მოსწავლემ შეიძლება ერთ კითხვაზე იფიქროს 2 წუთი, 7 წუთიც და რეზერვში დარჩენილი, მაგალითად, 15 წუთიც. თუ მოსწავლემ ერთ დავალებას 1 წუთი მოანდომა, შესაბამისად, დარჩენილი დრო რეზერვს ემატება, ანუ რეზერვი იზრდება. რეალურ პირობებში, როცა ბავშვი მუშაობს, დრო არ უნდა დაკარგოს დროის მაჩვენებლის ყურებით, მას ერთი თვალის შევლებით ექმნება წარმოდგენა რამდენი დრო აქვს მოსაფიქრებლად.

ახლა შევეცდები ავხსნა, რას აკეთებს სისტემა, რა ხდება სცენის მიღმა. როგორც აღვნიშნეთ, მინიმალური დავალების რაოდენობა არის 15. ეს კითხვები საჭიროა იმისთვის, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია შეგროვდეს. CAT-ის სისტემა აფასებს ბავშვის უნარს და ცოდნას კონკრეტულ საგანში, ამის შესაფასებლად კი საჭიროა გარკვეული წინაპირობა. რადგან ჩვენ არაფერი ვიცით მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ, ამიტომაც ტესტირება იწყება ე.წ. საშუალო დონის დავალებებით, თუ ის კარგად უპასუხებს საშუალო დონის შეკითხვას ეს არ ნიშნავს, რომ მომენტალურად მას მიეწოდება საშუალოზე მაღალი ან ცოტა რთული დავალება. 15 შეკითხვის დროს სისტემა აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ, დავალებების სირთულის ზრდა კი არ არის კატასტროფული, არ არის ძალიან დიდი სხვაობა დონეებს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე გარკვეული სტაბილურობით კარგად პასუხობს საშუალო დონის დავალებას ან საშუალოზე ცოტა მაღალს, იწყება დონის გაუმჯობესება. ეს არის მდორე პროცესი, რომ კარგად შეფასდეს მოსწავლის შესაძლებლობა.

როგორ აფასებს სისტემა მოსწავლეს. 15 კითხვის განმავლობაში სისტემა არ წყვეტს მოსწავლის ტესტირებას, მიუხედავად იმისა, დადებითია თუ უარყოფითი მისი პასუხები. ანუ ის აგროვებს ინფორმაციას – სწორ და არასწორ პასუხებს და აანალიზებს თანმიმდევრულად, როგორ უპასუხა მოსწავლემ. მე-16 კითხვიდან, უკვე სპეციალური ფუნქციების საშუალებით, დაიწყება მოსწავლის შესაფასებელი ქულის გამოთვლა. ყოველ ბიჯზე ანალიზდება ყველა წინა შეკითხვის პასუხი. შემდეგი კითხვის შერჩევა არის ყველა წინა პასუხის ფუნქცია, ანუ როგორ უპასუხა წინა კითხვებს. მე-16 კითხვის დასმის შემდეგაც ერთ მიიღებს სისტემა გადაწყვეტილებას, შეწყვიტოს თუ არა ტესტირება, რადგანაც სისტემა უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლის პასუხები სტაბილურია. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოსწავლე საშუალო დონის შეკითხვებს პასუხობს, საშუალოზე მაღალი დონის კითხვას კი სტაბილურად ვერ პასუხობს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსწავლემ თავის ცოდნის მაქსიმუმს მიაღწია, ანუ ტესტირება წყდება მხოლოდ მაშინ, როცა სისტემა გაარკვევს ბავშვის ცოდნის რომელიმე დონის სტაბილურობას. შესაძლებელია, კარგად მომზადებული მოსწავლე 20-25 კითხვაში შეფასდეს და მიიღოს მაღალი ქულა – მაგალითად, თუ სისტემა რთულ კითხვას მისცემს და ის თანმიმდევრობით, სტაბილურად რამდენჯერმე უპასუხებს, 22-25 ქულაში სისტემა მის შეფასებას შეწყვეტს. საპირისპირო სიტუაციაში, როცა ბავშვი სავალდებულო 15 კითხვიდან 10 არასწორ პასუხს გასცემს, შემდეგ მე-16, მე-17, მე-18 კითხვასაც ვერ უპასუხებს, მისი შეფასება შეიძლება მე-20 შეკითხვაზეც კი შეწყდეს. სისტემა ასეა ორიენტირებული. ამდენად, რამდენი იქნება მინიმალური კითხვა, რომელიც მოსწავლის ცოდნას შეაფასებს, ამას ვერ ვიტყვით, რადგან სისტემა აგრძელებს შეფასებას მანამ, ვიდრე არ დაადგენს, რა დონის არის მოსწავლის შესაძლებლობები სტაბილურად. მათემატიკური მოდელი ამის დამტკიცების საშუალებას იძლევა. მის შექმნაში მონაწილეობდნენ უცხოელი კონსულტანტები, რომლებიც ამ თეორიის ფუძემდებლებად ითვლებიან – სპეციალისტები ამერიკიდან, ჰოლანდიიდან. სისტემის მათემატიკური მოდელის დახვეწას ძალიან დიდი სამუშაოები უძღოდა წინ. საბოლოო მოდელის შექმნამდე უამრავი ტესტირება ჩატარდა.

მთელი ამ პროცესის მიმდინარეობა ასეთია: ეკრანზე ჩნდება კითხვა, მოსწავლე პასუხობს, შემდეგ ჩნდება შემდეგი შეკითხვა. ვერც ერთი ამოცანის დასრულების შემდეგ მოსწავლე ვერ იგებს, სწორია თუ არა მის მიერ მონიშნული პასუხი.

როცა სისტემა ჩათვლის, რომ ბავშვი შეფასებულია, შეწყვეტს ტესტირებას და ეკრანზე დაიწერება საბოლოო ქულა, რითაც მისი ცოდნა შეფასდა.

ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, სისტემა იმახსოვრებს ყველა მონაცემს, მაგალითად: ტესტირების დროს გაითიშა დენი, აღდგენის შემთხვევაში მოსწავლეს არანაირი მონაცემი არ ეკარგება. ფორსმაჟორული სიტუაციებიც არსებობს, ამიტომაც თუ ცენტრი საჭიროდ მიიჩნევს ტესტირების გაგრძელებას, დაინიშნება გარკვეული დღეები დამატებითი ტესტირებისათვის.

ერთდროულად 1500 წერტილში ჩატარდება ტესტირება და ერთდროულად ინტერნეტქსელში15 ათასი მოწყობილობა იქნება ჩართული. არც ერთი სერვერი არ არსებობს ცენტრალური სერვერის გარდა, რომელიც სპეციალურ ცენტრში ინახება, ანუ ლოკალურად არ ხდება თითოეულ კომპიუტერში ინფორმაციის შენახვა. ეს პროცესი ისეა ორგანიზებული, რომ გამორიცხავს რომელიმე კომპიუტერში რაიმე ინფორმაციის შენახვას. სისტემა დაცულია ჰაკერებისაგან, შექმნილია სპეციალური ქსელი, რომელსაც ინტრანეტი ჰქვია, ანუ ქსელი, რომელშიც გამოცდა ჩატარდება, ინტერნეტი არ არის. ეს არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლების დამაკავშირებელი დაცული ქსელი, თითოეულ სკოლაში დგას სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ინფორმაციის მიღებისთანავე შიფრავს მას და ისე გადასცემს ცენტრალურ სერვერს. მერწმუნეთ, ბუნებაში არ არის ტექნოლოგია, რომელიც ამ სისტემის მოპარულად გაშიფვრას შეძლებს. დაცულობის თვალსაზრისითაც, ინტერნეტში შესვლა შეუძლებელია, ანუ ინტრანეტი მხოლოდ ამ ლოკალურ სივრცეში განხორციელებული ინტერნეტია.



*ლალი ჯელაძე*

# პირველები რჩეულთა შორის

## ურთიერთსიყვარულით გავლილი 19 წელიწადი



### შტრიხები სკოლის დირექტორის პორტრეტისათვის

**ლამარა ქოქიაური** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, წარჩინებით ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით; გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ხელმძღვანელობით, 1986 წელს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1987 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1992 წელს დააფუძნა და ხელმძღვანელობს საქართველოში პირველი ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების კერძო სკოლას. ამჟამად პროფესორია. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ინვესტიციის ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში". გამოქვეყნებული აქვს 207 მეცნიერული ნაშრომი, ძირითადად ფინანსების, ინვესტიციების და ბანკების შესახებ, მათ შორის 20 მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

**– რა არის თქვენი სკოლის წარმატების მიზეზები?**

– ძალზე ძნელია ადამიანმა ილაპარაკოს თავის საქმეზე; სკოლის არსებობის 19 წლის მანძილზე ბევრჯერ უკითხავთ – რა არის თქვენი სკოლის მუშაობის კარგი შედეგების მიზეზი, რატომაა, რომ ამ სკოლაში მოსვლის მსურველი უამრავი მოსწავლეა, რომ მარტის თვეში უკვე შეივსო ახალ პირველკლასელთა ჯგუფები, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლის 57 კურსდამთავრებულთაგან ასი პროცენტით ყველა მოეწყო ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში, 22-მა სახელმწიფო გრანტი მიიღო და ყველაზე მთავარი – ჩვენი სკოლის თითქმის ყველა ბავშვი გამოირჩევა უაღრესად დიდი სიყვარულის უნარით, შრომისმოყვარეობით, ცოდნით, შინაგანი კულტურით...

პასუხი ერთია – აქ ყველა პედაგოგი, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი მაღალი ინტელექტის მქონე, მაღალი კვალიფიკაციის, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, მზრუნველი ადამიანია.

**– და მაინც, კონკრეტულად, რატომ მოდის თქვენს სკოლაში ამდენი მოსწავლე? საკმაოდ დიდი კონტინგენტი გყავთ დღესაც, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს წარმატება?**

– ამ კითხვაზეც ტრაფარეტული პასუხი მაქვს და განსაკუთრებით ხშირად ვიმეორებ, ახალი პირველკლასელების თუ მაღალკლასელების მოსვლისას: – ჩვენ „ვარსკვლავებს არ ვკრეფთ", ზოგიერთ სხვა საჯარო თუ კერძო სკოლას ჩვენზე უკეთესი პირობებიც აქვს, მაგრამ ნუ მიწყენს ნურავინ და ნურც კადნიერებაში ჩამომართმევთ, – ჩვენს სკოლაში წინა პლანზე ადამიანის ფაქტორი დგას. ადამიანებს შორის ურთიერთობას, განსაკუთრებით პატარა ადამიანებისადმი დიდი ადამიანების დამოკიდებულებას ექცევა ყურადღება. პირადად ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის, თითოეული ბავშვი არის პიროვნება, ინდივიდი, რომლის ღირსებას პატივი უნდა ვცეთ. ისინი საკუთარი შვილებივით გვიყვარს, გვტკივა მათი ტკივილი და ბედნიერები ვართ მათი ბედნიერებით.

თითქოს არახალი პასუხია, ასეთი უნდა იყოს ყველა აღმზრდელი, მაგრამ ყველა ასე ფიქრობს?

ყოველი ადამიანის საქმის წარმატების საწინდარი შრომაა. ადამიანმა საჭიროა მიაგნოს მისთვის საყვარელ წამოწყებას და აკეთოს მონდომებით, კეთილსინდისიერად, სიყვარულით და სიკეთით. თითქმის ოცდაათი წელია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში ვკითხულობ ლექციებს. ყველა საფეხური გავიარე – ვიყავი ლაბორანტი, ასპირანტი, დოცენტი, პროფესორი და იცით, დღემდე ჩემთვის ბედნიერება და სიამაყეა იქ მისვლა, ლექციის წაკითხვა, სტუდენტებთან ურთიერთობა, კარისკაცებისათვის „დილა მშვიდობისა" თქმა... ასეთივე ატმოსფერო მინდოდა შემექმნა ჩვენს სკოლაშიც და მართლა, რა უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი მასწავლებლების და მოსწავლეების, რომ ამ ნატვრის ხორცშესხმის საშუალება მომცეს. თითქოსდა არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებთ, მაგრამ პედაგოგი და მოსწავლე კმაყოფილია და სიამოვნებს ჩვენს ძლიერ და შეკრულ კოლექტივში ყოველდღე მოსვლა. სითბო, სიყვარული, ზრუნვა, თავაზიანობა, გაჭირვებულისათვის მხარში ამოდგომა, მეგობრობა, გულისხმიერება გამოსჭვივის 400-ზე მეტი ადამიანის თვალებში, მგონი ესაა მთავარი. ათასში ერთი სულდამძიმებული თუ შემოგვეპარება. ალბათ, უამისობაც არ შეიძლება. „ცუდას რად უნდა მტერობაო"... რა წაუღიათ მათ ავის მეტი, ან რისი იმედი აქვთ. და კიდევ ერთი, ალბათ ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, სიახლის დაუფლების უნარი, კრიტიკა და შენიშვნები მადლობით მიიღოს, დამარცხება ვაჟკაცურად გადაიტანოს. ალბათ, ამის გამოა, რომ ჩვენი სკოლა ერთ-ერთი პირველია საქართველოში ბავშვთა რაოდენობის, მოსწავლეთა მაღალინტელექტუალური აღზრდის მხრივ, სწავლების ხარისხით და შედეგიანობით.

**– ქალბატონო ლამარა, როგორია სკოლის შინაგანაწესი?**

– იცით, ეს არის კერძო, ფასიანი სკოლა, სადაც მიზერული გადასახადია, მაგრამ სათქმელი მაინც გვაქვს, განსაკუთრებით მაღალ კლასებში გადმოსვლის მსურველებთან – მშობელს და მოსწავლეს ვეკითხები და ერთგვარ „ულტიმატუმსაც" ვუყენებ: – აქამდე მე არ გეკითხებით, რატომ არ ხართ ფრიადოსანი, არ ვკითხულობ თქვენს „ძველ ცოდვებს", ახლა, ჩვენს სკოლაში გადმოსვლის შემდეგ ნამდვილად გინდათ ნორმალური, წესიერი სწავლა და ცხოვრება?! გინდა ახალი ცხოვრების დაწყება?! კი ბატონო, ამის შანსი გეძლევათ, ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით. დაივიწყებთ „ძველს", ისწავლით, მოიქცევით ძალიან კარგად, გაიზიარებთ ჩვენი სკოლის შინაგანაწესს.

აი, სკოლის შინაგანაწესში კი ძალიან მკაცრი მუხლები დევს: არა უცოდინრობა, არა უკულტურობა, არა უწესრიგობა, არა უდისციპლინობა, არა დაგვიანება, არა გაცდენა, არა ვინმეს დაჩაგვრა, არა მოსწავლისათვის შეუფერებელი ჩაცმულობა, არა ქედმაღლური საუბარი და ქცევები, არა პროტექცია, არა მასწავლებლის შვილობა და ა.შ.

მაგრამ... აი, ეს მაგრამ ძალიან მკაცრია – თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს მოსწავლე არ „ჩაჯდება" სკოლის ჩარჩოებში, არ ისწავლის, მეტიც, შეეცდება, თუნდაც ათჯერ მოთმინებით თქმული გაფრთხილების შემდეგ არიოს გაკვეთილი, ან ჩვენი დიდი ოჯახის მიერ მიღებული ნორმები – წავა სკოლიდან, შეწყდება ხელშეკრულება და დაუბრუნდება თავის სკოლას ან გადავა სხვა სკოლაში.

**– რატომ ხდება ასე, მათ განათლებასა და მსოფლმხედველობაში არცთუ ცოტა მინუსია?! თქვენ ხომ კოლოსალური შრომა გჭირდებათ მათი თქვენს „რელსებზე" გადმოყვანისათვის?! გიღირთ ამდენი ძალისხმევა?**

– რთული კითხვაა... ჩემი პასუხი არ უნდა გამოვიდეს არც თავის ქება და არც არავის შეურაცხყოფა. ასეთი ბავშვები იცით რა კატეგორიას განეკუთვნებიან? მათ რაღაც უჭირთ ან ოჯახში, ან ყოფილ სკოლაში. უფრო მეტიც, საზოგადოებაში ხშირად ადგილს ვერ პოულობენ, არავის უყვართ, ზოგჯერ საკუთარი დედებიც კი მხოლოდ ეჩხუბებიან, აკლიათ ზრუნვა, სიყვარული, სითბო, თანადგომა, ვიღაცის და რაღაცის იმედი ან უბრალოდ, უკმაყოფილოები არიან თავიანთ სკოლაში მიღებული სწავლის ხარისხით.

გზის აცდენამდე არ უნდა ფიქრობდეს სახელმწიფო და საზოგადოება ასეთ ბავშვებზე?! ესენი ჯერ არასრულწლოვნები არიან, მათი აღზრდაა საჭირო და არა ხელისკვრა. გაჭირვებულს უნდა ჩვენი დახმარება და გვერდში დგომა, თორემ ჩემს საოცარ ილია ცხვედიანს, ჯაბა ბურდიაშვილი, ინგა ფრიდონაშვილს, გიორგი შუბლაძეს, ლევან და გიორგი ჯიქიებს და სხვებს და სხვებს ჩვენი დახმარება სულაც არ სჭირდებათ. და ერთი ტრაფარეტული (იქნებ მცდარი?!) გამოთქმაც მაქვს – მე თუკი ერთ ზარმაც, საზოგადოებისაგან ხელჩაქნეულ ბავშვს გადავარჩენ, მისგან კარგ კაცს გამოვიყვან, ჩემი, როგორც ქრისტიანი ადამიანის, აღმზრდელის როლი შესრულებული იქნება.

მე არ ვარ კეთილი სამარიტელი. უბრალოდ, პატარა ადამიანებს სჭირდებათ ჩემი დახმარება და მათ ვეხმარები. მე მათ ვჭირდები და ბედნიერი ვარ, თუ მათთვის რაიმეს სასიკეთოს ვაკეთებ.

**– რა მოუტანა რეფორმებმა სკოლას?**

– ცოდნა, ცოდნა და ცოდნა; შემდეგ – წესრიგი, მოსწავლეების და პედაგოგების მაღალი დისციპლინა.

ისტორიისათვის არც თუ დიდი ხნის, 40-50 წლის წინ, უმაღლეს სასწავლებელში უქონელთაგან იცით ვინ ეწყობოდა? მხოლოდ უაღრესად მცოდნე, ბეჯითი და ნიჭიერი ადამიანები. სამწუხაროდ, 80-90-იან წლებში დიდ ჩავარდნას ჰქონდა ადგილი განათლების სფეროში. დღეს – მქონეთათვის და უქონელთათვისაც – ატესტატისა და უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ მცოდნე და განათლებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ.

**ეს რეფორმამ გააკეთა!**

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში იცით 10-15 წლის წინ სკოლადამთავრებულების რა ნაკადი შემოდიოდა ჩემს ლექციებზე?! და ახლა იცით რა დიდებულ სტუდენტებთან მიხდება მუშაობა – შედარება არ შეიძლება.

**ეს რეფორმამ გააკეთა!**

პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, მასწავლებელთა მასიური სერტიფიცირება.

**ეს რეფორმამ გააკეთა!**

დაიხვეწა სასწავლო გეგმები; ნელ-ნელა აღმოიფხვრა სხვადასხვა ავტორების სახელმძღვანელოების ყოველწლიური გამოშვება; გეოგრაფიის და ისტორიის პედაგოგებს რუკები შეაქვთ გაკვეთილზე; ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები „გაცოცხლდა"; ყველა საკლასო ოთახში ინტერნეტია შეყვანილი და საპროექციო აპარატურით ხდება ახალი გაკვეთილების ახსნა....

**ეს რეფორმამ მოიტანა!**

სკოლის შენობები შენობებს დაემსგავსა, შეშის ღუმელების და ნავთქურების კვამლი აღარ დგას საკლასო ოთახებში. თანამედროვე არქიტექტურის მშვენიერმა შენობებმა ჩაანაცვლა ყველაფერი ძველი.

**ეს რეფორმამ გააკეთა!**

სკოლებში ბავშვები ლაღად დადიან და მშობლები იმედით არიან, რომ შვილები უსაფრთხო სკოლაში არიან. ჭიშკარი დაკეტილია, სიგარეტს აღარ ახრჩოლებენ, გაკვეთილების პროცესში აუდიტორიებსა და დერეფნებში ბუზის გაფრენა ისმის, აღარ ხდება ფულის აკრეფა-შეკრება, საჩუქრების სკოლაში მიტანა (თუმცა, ჩვენს სკოლაში რეფორმამდეც წარმოუდგენელი იყო მსგავსი ფაქტები!). მხოლოდ წესრიგის, ბავშვებისა და პედაგოგების დამცველი მანდატურები დადიან დერეფნებში.

**ეს რეფორმამ გააკეთა!**

დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, ეს რომ არ დაინახოს.

**– რა შენიშვნები გაქვთ, რომელიც განათლების რეფორმაში უნდა იყოს გათვალისწინებული?**

– ბევრჯერ და ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე. რეფორმა იმიტომ ჰქვია ნებისმიერ სფეროში გარდაქმნასა და განახლების ღონისძიებებს, რომ არაჯანსაღი, მოძველებული უნდა შეიცვალოს სრულად ახლით და ცივილიზებულ სამყაროში არსებული, აპრობირებული კარგი პრაქტიკით. ამდენად, უნაკლოდ და შენიშვნის გარეშე თითქმის შეუძლებელია მისი გატარება. საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ ერთსაც გეტყვით – ადრე ისტორიაში რეფორმების არსს იცით როგორ ვსწავლობდით? – ვაანალიზებდით, რა ნაკლოვანებები ჰქონდა რეფორმებს და მხოლოდ ამის შემდეგ გვეკითხებოდნენ გატარებული რეფორმების მნიშვნელობას, როლს და ყველა მათ დადებით თვისებას.

ამჟამინდელი განათლების რეფორმის დადებით მხარეებზე და მისი გატარების აუცილებლობებზე ნაწილობრივ მოგახსენეთ. ვისურვებდი: მეტი ყურადღება დაეთმოს სკოლაში ინფორმატიკის სწავლების მეთოდებს. მხატვრულ ლიტერატურას ეცნობოდეს ჩვენი ახალგაზრდობა, მიუღებლად მიმაჩნია სკოლაში 12 წლის სწავლების შემდეგ ბავშვი არ იცნობდეს ჰიუგოს, ფოლკნერის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, სერვანტესის, გოეთეს, დანტეს და ა.შ შემოქმედებას; მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის, განსაკუთრებით სამხედრო წარსულის, კულტურის, მეცნიერების საკითხებს; ფიზიკის და ქიმიის დისციპლინების სწავლება დავიწყოთ ადრე – მე-7, მე-8 კლასებიდან, რათა მოვასწროთ მათი საფუძვლიანად შესწავლა; ვისურვებდი, საატესტატო რვავე საგანი სრული მოცულობით ისწავლებოდეს მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში, რათა მაქსიმალურად დავეხმაროთ ბავშვებს სრულყოფილი ცოდნის მიღებაში, საატესტატო გამოცდების ჩასაბარებლად და შემდგომ უმაღლეს სკოლებში მოსახვედრად.

მოსწავლეებში რაღაც მეთოდებით გავზარდოთ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა: სწავლა მოსწავლის სამსახურია, მისი საქმეა მისი სამუშაო, ამიტომ პასუხი უნდა მოეთხოვოს მათ შესრულება-არშესრულებაზე. ჩვენს სკოლაში აღნიშნული წინადადების გატარებას ნაწილობრივ ვცდილობთ, რისი გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს დღევანდელი სასწავლო გეგმები.

თითქოს ახალი და უჩვეულო აქ არაფერია, მაგრამ ჩვენი სკოლის „წესებგავლილი" ბავშვები იცით, როგორ გამოირჩევიან სხვებისაგან? ძალზე დიდია კონტრასტი. დახვეწილი მანერებით, ზრდილობით, მშობლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობით, მეგობრობითა და ურთიერთგატანით ისინი ყველასგან გამოირჩევიან. ცხრამეტი წლის განმავლობაში იცით როგორმა ახალგაზრდებმა ისწავლეს და დაამთავრეს ჩვენი სკოლა? ალბათ მიკერძოებაში არ ჩამომართმევს მკითხველი – მაგრამ ალბათ ჩვენი სკოლაგავლილებიდან – ნინო ფუტკარაძე, მამუკა ბლიაძე, სალომე მამაგულაშვილი, ეკა მჭედლიშვილი, ნათია სორდია, მაკა მელიქიშვილი, ნელი ბაკურაძე, ინგა ფრიდონაშვილი, ვასილ ჯიჭონაია, ილია ცხვედიანი, გიორგი შუბლაძე, გიორგი მიდელაური, გიორგი მექვაბიშვილი, ლაშა ფეიქრიშვილი სხვები და სხვები – თუნდაც ერთიც კი, სასახელო და საამაყო იქნებოდა ნებისმიერი სკოლისთვის.

რომ იცოდეთ, როგორ ვამაყობ მათით!

**– მაინც როგორ ახერხებთ ამდენი საქმის წარმატებით გაძღოლას – დიდი ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტის სრული პროფესორობა, ამდენი სახელმძღვანელო, მეცნიერული შრომა...**

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა დიმიტრი შაშკინმა იცით რა ბრძანა თავისი მინისტრობის პირველ დღეებში? – მთავარია, ადამიანი იყოს კარგი მენეჯერი, იცოდეს საქმის კარგი გაძღოლა და ხელმძღვანელობა...

რატომაც არა! მე არაფერს ვაკეთებ ჩემს სკოლაში, მაგრამ ყველა-

C M Y K

ფერს ვაკეთებ ამავე დროს. დამლაგებელი როგორ გვის ეზოს ან როგორ რეცხავს იატაკის ტილოს, მასწავლებელი როგორ ხსნის გაკვეთილს, რომელ ბავშვს შია, რატომ არ უყვართ გახანგრძლივებულ ჯგუფებში წვნიანი ხორცით და ყველას ყველიანი მაკარონი და ჯემიანი პური რომ უნდათ ყოველდღე (რაც არ შეიძლება), რატომ ტირის ბავშვი, ვინ აწყენინა და რატომ; რა უჭირს მას ოჯახში და რა ულხინს – ესეც ვიცი.

მოკლედ, მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი სკოლა, ჩემი უნივერსიტეტი, ჩემი ბავშვები, ჩემი ოჯახი, ჩემი პედაგოგები, ჩემი ადამიანები, ჩემი ქვეყანა, ჩემი წიგნები...

გავაგრძელო? ყველა ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი საქმე, მოყვასი. აღარაფრის დრო აღარ მრჩება, არ მცალია, ბატონო...

**– ბუნებრივია გაჩნდება კითხვა, თუ როგორ ხედავთ სკოლის მომავალს, თქვენთვის მომავალი წელი საიუბილეო თარიღია, როგორ შეაფასებდით განვლილ ოც წელიწადს?**

– რა ადვილი სათქმელია – მოკლედ შევაჯამო ადამიანის ცხოვრების 20 გრძელი წელიწადი. ის თითოეული თვე, დღე, წამი ისე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, იმდენი ბედნიერება, სიხარული, წარმატება, ზოგჯერ დიდი გულისშემძვრელი იმედგაცრუება დაიტია ამ ოცმა წელიწადმა, მაგრამ მაინც დადებითია, საქმის და ხალხის სიყვარულით სავსეა ეს წლები, ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა...

აი, რაც შეეხება მომავალს:

– მშობლებთან და მოსწავლეებთან დადებითის გარდა, არც ჩემი სკოლის ნაკლოვანებებს ვმალავ – ვიწროდ ვართ. 1992 წლიდან ფართის ნაკლებობას განვიცდით; ჯერ „მომთაბარე ცხოვრებას” ვეწეოდი იჯარით სხვადასხვა საბავშვო ბაღში. ვარემონტეთ და ვაკეთეთ სხვისი შენობები. აგერ 7-8 წელია ჩვენი საკუთარი ჭერი შევიძინეთ. ახლა უკვე საკუთარს ვაკეთებთ, ვალამაზებთ და ვაფართოებთ ყოველ წელს. ქალაქის მერიის ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურიდან ავიღეთ ჩვენი შენობის რეკონსტრუქციისა და მოშენების პროექტი და ნებართვა. მალე კიდევ გავფართოვდებით.

დღეისათვის ალბათ ყველაზე აქტუალური საკითხი – ჩვენი სკოლა ემზადება ავტორიზაციის გასავლელად. მაგიდაზე გვიდევს შესაბამისი დოკუმენტაცია და ნაბიჯ-ნაბიჯ ვპასუხობთ ყველა პუნქტს.

ხმამაღლა ნათქვამი არ გამოვიდეს, მაგრამ კერძო სკოლამ, ჩემი მოსაზრებით, უდიდესი როლი შეასრულა განათლებისათვის ძნელბედობის დროს, ახლაც ბევრი რამ, რაც უკანასკნელ წლებში ინერგება სხვა სკოლებში – კერძოდ შეფასების 10-ბალიანი სისტემა; მასწავლებლების სამსახურში ხელშეკრულებით მიღების სისტემა; კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები; ინგლისური ენის პირველი კლასიდანვე შესწავლა და სახელმძღვანელოების დიდი ბრიტანეთიდან შემოტანა; ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია-გეოგრაფიის საგნებისადმი დიდი ყურადღება; პედაგოგების შრომის ანაზღაურების დიფერენცირებული სისტემა; ინფორმატიკის სწავლება მე-5 კლასიდან და ა.შ. ჩვენთან, აგერ ცხრამეტი წელია, ხორციელდება. დამბადებია კითხვა – ჩემგან ხომ არ სწავლობენ ნოვაციებს, მაგრამ ახსნა მარტივია – ჩვენი სკოლის შინაგანაწესი, ყველა სიახლე, თითქმის უკვე ორი ათეული წელია, ევროპის და ამერიკული სკოლებიდან შემოგვაქვს; უცხოეთში მივლინებით ან სასწავლებლად წასულ პედაგოგს თუ მოსწავლეს, პირველ რიგში, სწორედ ამას ვთხოვთ – იქ (და არა მარტო უცხოეთში), ყველაფრით უზრუნველყოფილ სკოლებში რა არის დადებითი, კარგი, მისაღები ჩვენი განათლების სისტემისათვის, რომ აქაც დავნერგოთ.

ტრადიციულ ქართულს პლუს საზღვარგარეთული ინოვაციები უდრის ჩვენეულს, ახალ ქართულ განათლებას. აი, ასეთი მარტივი ფორმულით ვხელმძღვანელობთ. ბოლონიის პროცესმაც მოგვისწრო, ძალიან მიხარია, რადგან უკვე კანონი მოუხსნის ჩვენს კურსდამთავრებულებს უცხოეთში „გასასვლელად” აღმართულ ყველა წინაღობას, ჩვენ ატესტატსაც ატესტატი ერქმევა და დიპლომს – დიპლომი...

ჩვენ მადლობას არავის ვთხოვთ, მაგრამ გაკეთებულის აღნიშვნა შეიძლება. და ყველაზე მთავარი – სკოლა მასწავლებელს „მიჰყავს“, დირექტორი მენეჯერია, მეტი არაფერი. ბავშვები სკოლაში მოდიან კარგი მასწავლებლების გამო. ჩვენს სკოლაში 19 წლის მანძილზე ბევრი ახალი პედაგოგი მიგვიღია და გაგვიშვია, მაგრამ კარგს იშვიათად შეველევით ხოლმე. ამიტომაა, რომ ჩვენს სკოლაში დღეს არნახული პედაგოგიური კოლექტივია; მე არ მეგულება ასეთი შესანიშნავი ადამიანები და პროფესიონალები, როგორებიც დღეს ჩემს სკოლაში შეიკრიბნენ. ჩვენი სკოლის ხელმძღვანელობა მათ მხარში უდგას, აქვთ საკმაოდ მაღალი ხელფასები, დაფასება და სიყვარული, მათ სახელმწიფოსგანაც მოფრთხილება, თანადგომა, სიყვარული, ზრუნვა სჭირდებათ. ისინიც უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ სიკეთით, რითაც საჯარო სკოლის პედაგოგები – დაზღვევის პაკეტი იქნება ეს, გაზის ვაუჩერი თუ უფასო ტრენინგების კურსები...

*ესაუბრა*

***ქეთევან გრატიაშვილი***

# მანდატურები კერძო სკოლა „ნინოში“



სკოლამ ფეხი აუწყო რეფორმების მოთხოვნებს. უსაფრთხო სკოლის მოდელის შექმნა ჩვენი ერთ-ერთი აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანაა. ამისათვის თხოვნით მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სამსახურს მანდატურების ჩვენს სკოლაში განწესების შესახებ, რაც მარტის ბოლოს დაკმაყოფილდა. ჩვენს სკოლაში, როგორც საქართველოში დიდი ტრადიციებისა და ერთ-ერთ წარმატებულ სკოლაში, ოფიციალური მოწვევისა და ხელშეკრულების საფუძველზე, მანდატურის სამსახური შემოვიდა.

მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლს, ინდივიდუალურად მუშაობენ სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან, უზრუნველყოფენ დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულებას, მათ მიერ ძირშივე ხდება ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის აღმოფხვრა.

სკოლაში სრული სიმშვიდეა და რაც მთავარია, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მოსწავლეთა და პედაგოგთა დაგვიანება. არ ცდება არც ერთი გაკვეთილი. მანდატურები ყველა მოსწავლის, ყველა პედაგოგის და დირექციის „მცველის”როლშია თითქოს. პირველკლასელიც კი მათთან გარბის დახმარებისათვის, იცის, რომ მანდატურისაგან მიიღებს მხარდაჭერას, ყურადღებას, შესაბამის დახმარებას, გაუწევს შუამდგომლობას დირექტორთან, შეარიგებს წაკინკლავებულ მეგობრებთან, მიიღებს სათანადო პირველად სამედიცინო დახმარებას. მათი უშუალო ჩარევის გარეშე მოწესრიგდა საკლასო ჟურნალებში აღრიცხვიანობის სისტემა, არც მოსწავლე იჩაგრება მასწავლებლისაგან და აღარც მასწავლებელი მოსწავლეებისაგან. ყოველგვარი ხმაურის და მკვეთრი ზომების გატარების გარეშე ბევრი რამ დარეგულირდა სკოლის ცხოვრებაში. მართალია, საამაყოდ მიგვაჩნია სკოლის დირექციას და პედაგოგებს, რომ 19 წლის მანძილზე ჩვენს სკოლაში არასოდეს მომხდარა რაიმე სერიოზული დარღვევა, რომ იტყვიან „ხელიც არ გაქნეულა” ზედმეტად, მაგრამ ეს ყველაფერი ადრე დირექციის მხრებზე გადადიოდა. დასვენების თუ გაკვეთილის დროს ხმაურზე, პედაგოგის ხმის ამაღლებაზე, მოსწავლის დაგვიანებაზე თუ ჟურნალში გაუფორმებელ თითოეულ გაცდენაზე ადრე დირექტორს თითქმის მარტო უხდებოდა რეაგირება. ახლა დირექციის და ბავშვების გვერდით იმედად დგას ეს ორი მშვენიერი, ზრდილი და უწესიერესი ახალგაზრდა. ზედმეტი ღონისძიებების გატარების გარეშე, ისინი მშვიდად იცავენ სკოლის 500-მდე ბინადარის ცხოვრებას. ისინი სიყვარულით გამთბარი გულით, საჭიროების შემთხვევაში კი მკაცრი მზერით, ემსახურებიან ჩვენს შვილებს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის...

# ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო“ იწვევს ნიჭიერ მოსწავლეებს!

ჩვენი სკოლა ერთ-ერთი პირველი კერძო საშუალო სკოლაა საქართველოში, რომელმაც ფუნქციონირება 1992 წელს დაიწყო. დამფუძნებელი და დირექტორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ლამარა ქოქიაური**.

## სკოლის მიზანი

ინტელექტუალური, ზნეწმინდა, განათლებული, შრომისმოყვარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ქრისტიანული სულისკვეთების მამულიშვილების აღზრდა.

სკოლას აქვს უკვე ჩამოყალიბებული სასწავლო ბაზა, გამორჩეულია საკუთარი ტრადიციებით და, რაც მთავარია, დაკომპლექტებულია უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე პედაგოგებით.

ჩვენთან ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან იწყება და, როგორც ყოველდღიური სავალდებულო საგანი, გაძლიერებული კვირაში 10-საათიანი დატვირთვით ისწავლება. მესამე კლასიდან ბავშვები რუსული ენის დაუფლებას იწყებენ, ხოლო მეხუთე კლასიდან – გერმანული ენის.

უცხო ენების დასაუფლებლად გამოყენებულია ენების შესწავლის თანამედროვე მეთოდები, თვალსაჩინოებანი, ტექნიკური საშუალებები, მოსასმენი აპარატურა, დიაფილმები და ა.შ.

სკოლაში სწავლება პროფილური ხასიათისაა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რვა საგნის (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია) გაღრმავებული სწავლებით, რომლებიც ესაჭიროებათ აბიტურიენტებს სახელმწიფო ატესტატის მისაღებად და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

თითოეულ ჯგუფში 15-20 მოსწავლეა. ჩვენი სიამაყეა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები.

სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთობლივი შრომის საბოლოო შედეგები, ბუნებრივია, სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებით ფასდება. ბევრმა ჩვენმა უნიჭიერესმა მოსწავლემ მიიღო გრანტი და წარმატებით აგრძელებს სწავლას ჩვენი ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები კვებით, საღამოს 6 საათამდე.

ფუნქციონირებს ცეკვის, მუსიკალური განათლების, ჭადრაკის, კალათბურთის, რაგბის სექციები.

ჩვენს სკოლაში გახსნილია, აგრეთვე, საატესტატო და საუნივერსიტეტო საგამოცდო საგნებში მოსამზადებელი ფასიანი ჯგუფები, 2 საათიდან 8 საათამდე.

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და ექიმი.

სკოლას საკუთარი ბეჭვდითი ორგანოც გააჩნია – გაზეთი „კიდევაც დაიზრდებიან“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მთელ საქართველოში ჩვენს სკოლაში ყველაზე დაბალი გადასახადის განაკვეთია. ამასთან, დაწესებულია შეღავათები: მრავალშვილიანი დედებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

The English Language Intensive Study School „NINO“ was founded in 1992. The inspirer and the founder of the School is professor of Tbilisi State University doctor of Economics Ms. Lamara Qoqiauri.

The goal of our School is to educate our pupils according to high standards. Despite the compulsory subjects at school, our pupils are intensively taught the English Language with new methods (Books from Foreign Institutes and universities) and computer sciences, The advanced receive certificates testifying their high achievements in English and Computer Sciences. The Best Professors of Tbilisi State University and highly qualified teachers deliver classes at our School.

ADDRESS OF THE SCHOOL:
11ª, 2nd m/r; Zemo Plato; Varketili; Tbilisi.
მის: თბილისი, ვარკეთილი, ზემო პლატოს მე-2 მ/რ, 11ა
Tel: 76-05-95; 871 90-60-11; 79-07-10; 899-90-60-11
Email: lqoqiauri@yahoo.com ვებგვერდი: www.nino.skola.dlf.ge

# მაძიებლის სადემონსტრაციო გაკვეთილის გეგმა

2010-11 სასწავლო წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქტიური მხარდაჭერითა და ინიციატივით, მთელი საქართველოს მასშტაბით, განხორციელდა მენტორ-მაძიებელთა თანამშრომლობის პროგრამის დანერგვა და მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ მენტორ-მაძიებელთა ინსტიტუტი მანამდეც არსებობდა, თუმცა წელს მათი საქმიანობა გაცილებით ეფექტური და წარმატებული აღმოჩნდა. მაძიებლებთან თანამშრომლობა მენტორი-მასწავლებლებისთვისაც სასარგებლო სტიმული გამოდგა და მაძიებლებმაც ბევრი შეიძინეს პრაქტიკული დაკვირვებისა და თეორიული ცოდნის შეჯერების წყალობით. საბოლოო ჯამში, მივიღეთ მასწავლებლობის მსურველთა ახალი კადრები, რომლებიც გამოირჩევიან შესაშური ენთუზიაზმითა და მოტივაციით. გთავაზობთ 144-ე საჯარო სკოლის მაძიებელი მასწავლებლის, **დარეჯან სუმბაძის** მიერ ორგანიზებული და ჩატარებული სადემონსტრაციო გაკვეთილის გეგმას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მენტორი-მასწავლებელი – **ქეთი ქათამაძე**). გაკვეთილს დაესწრო სკოლის დირექტორი და მენტორი.



**გაკვეთილის თემა/თემის აქტუალობა** – უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ – ლეგენდად ქცეული სიყვარული.

**საგანი** – ქართული ენა და ლიტერატურა

**კლასი** – VIII

**დრო** – 45 წთ.

**გაკვეთილის მიზნები** – მოსწავლეები გაიცნობენ უილიამ შექსპირის ტრაგედიის ფრაგმენტს; ნახავენ პიესის მიხედვით გადაღებული ფილმის ნაწყვეტს; იმსჯელებენ, როგორ შეიძლება გადაიქცეს სიყვარული ლეგენდად.

**ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგი/ინდიკატორი** – ქართ.VIII.1. მოსწავლე ისმენს მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე და წარმოადგენს საკუთარ თვალსაზრისს აუდიტორიის წინაშე; ქართ.VIII.3. მოსწავლე ამოიცნობს და იყენებს მსჯელობის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს; ქართ.VIII.9. მოსწავლე იყენებს კითხვის მიზნის შესაბამის სტრატეგიებს (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი კითხვა).

**აქტივობები/დროის განაწილება** – გონებრივი იერიში – 5 წთ.; აქტიური კითხვა – 15 წთ.; დისკუსია – 5 წთ.; ორმხრივ ჩანაწერთა სქემის შევსება – 5 წთ.; ფილმის ნაწყვეტის გაცნობა – 10 წთ.; რეფლექსია (შეჯამება/შეფასება/საშინაო დავალება) – 5 წთ.

**გაკვეთილის თანმიმდევრობა** – გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი:

I ეტაპი – პროვოცირება (5 წთ). განწყობისთვის წარმოდგენილია საგანგებოდ მოწყობილი კუთხე ნიღბებით, პიესის უცხოენოვანი დასურათებული ვარიანტით, შექსპირის „სონეტების“ 1956 წლის გამოცემით (გივი გაჩეჩილაძის თარგმანი). პედაგოგი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას და მათთან ერთად ხსნის თემის სათაურს: რა არის ლეგენდა? როგორ გადაიქცევა სიყვარული ლეგენდად? თუ სმენიათ რაიმე რომეოსა და ჯულიეტას შესახებ? რა ჟანრის ნაწარმოებია „რომეო და ჯულიეტა“? თუ იცნობენ ამ ნაწარმოების კინოვერსიებს? რა სმენიათ უილიამ შექსპირის შესახებ? თუ იცნობენ მის სონეტებს? აქ პედაგოგი უკითხავს ერთ სონეტს, ესაუბრება პიესის, ლექსის სტრუქტურაზე, თარგმანებზე. შექსპირის სავარაუდო ავტორობაზე...

II ეტაპი – წვდომა (35 წუთი). აქტიური კითხვის საშუალებით პედაგოგი აცნობს მოსწავლეებს ტექსტს (დიალოგის დროს ორ მოსწავლეს შორის ანაწილებს როლებს). იწყებენ ტექსტის განხილვას. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, ტექსტის კითხვის პარალელურად, დაფაზე ავსებს ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის სქემას:

*მნიშვნელოვანი ფრაზა/პირველადი კომენტარი/ემოციური კომენტარი*

მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, დაწვრილებით არჩევს ფრაზებს, ტროპების ნიმუშებს; ერთად იხსენებენ თეორიულ საკითხებს (განმარტავენ პიესის, დიალოგის, რემარკის მნიშვნელობებს). დაფაზე წარმოდგენილ სქემას ავსებენ კითხვების საშუალებით: რა ხდება ამ ეპიზოდში? ვინ არიან მოქმედი პირები? სად ხდება მოქმედება? როდის ხდება მოქმედება? რატომ შედის რომეო ბაღში მალულად? მათ გასწვრივ, მეორე სვეტში, მოსწავლეებს შეაქვთ პირველადი კომენტარები: რა განწყობას ქმნის... დაახასიათეთ მოქმედი პირები... ისაუბრეთ ნაწარმოებში ასახულ გარემოსა და ეპოქაზე... რა შთაბეჭდილებები აღგეძრათ ტექსტის წაკითხვისას... შემდეგ გაუცვლიან მეწყვილეს რვეულებს და ავსებენ მესამე გრაფას: ემოციურ კომენტარს უკეთებენ ამოწერილ ფრაზებს. ტექსტის გაცნობის შემდეგ პედაგოგი სთავაზობს კლასს, უყურონ ფრანკო ძეფირელის ფილმის „რომეო და ჯულიეტა“ ფრაგმენტს და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, რამდენად დაემთხვა მათ მიერ წარმოსახული სურათი ფილმში ნანახს.

III ეტაპი – რეფლექსია (5 წუთი). მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილის თემას და მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: ბიჭებმა მიწერონ წერილი ჯულიეტას, ხოლო გოგონებმა – რომეოს; გაითვალისწინონ როგორც პერსონაჟთა ხასიათი, ასევე მათი მეტყველება და ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურება.

**შეფასება** – განმავითარებელი შეფასება/სიტყვიერი კომენტარი.

**საკლასო მენეჯმენტი/მოსწავლეთა ორგანიზება** – საერთო-საკლასო.

**საჭირო რესურსები** – თეატრალური ნიღბები, ეკრანი, პროექტორი, ინტერნეტი, კომპიუტერი, პიესის უცხოენოვანი დასურათებული ვარიანტი, შექსპირის „სონეტების“ 1956 წლის გამოცემა (გივი გაჩეჩილაძის თარგმანი), VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო (თუშური, შარაშენიძე, ინასარიძე).

***ქეთი ქათამაძე***
*144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა*
*და ლიტერატურის პედაგოგი*

# კაცი, რომელიც სჭირდება სოფელს



წყალტუბოს რაიონში არის ერთი კოპწია მთის სოფელი საჩხეური, რომელიც მდინარე ლეხიდრის ხეობაში, ზღვის დონიდან 550 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფელში მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლაა, რომელსაც ჰყავს ერუდირებული და ენთუზიასტი დირექტორი **გოჩა ძნელაძე**. სწორედ მის საქმიანობას ეხება ეს წერილი.

გოჩა ძნელაძე გამორჩეული ადამიანია. განა ბევრი გვეგულება ჩვენ ირგვლივ ისეთი პიროვნება, რომელიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში დარჩენის შეთავაზების მიუხედავად, მთის სოფელში წავა მასწავლებლად? ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია და მათ შორისაა გოჩა ძნელაძეც. 25 წლის ახალგაზრდა სპეციალისტმა საკუთარი შესაძლებლობების სარეალიზაციოდ, არც მეტი, არც ნაკლები, ქვემო ლეჩხუმის სოფელი საჩხეური აირჩია.

ასე დაიწყო ახალგაზრდა პედაგოგის რთული, წარმატებული და უხმაურო გზა. ყველგან მაღალ პროფესიულ დონეზე, მონდომებითა და რუდუნებით ასრულებდა და ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამისთვის განსაკუთრებულ სასათბურე პირობებსა და შეღავათებს არ მოითხოვს. იგი დღესაც ისეთივე ენთუზიაზმით ემსახურება საყვარელ საქმეს, როგორც 20 წლის წინ, როცა პირველად აიღო საკლასო ჟურნალი ხელში, შეაღო საკლასო ოთახის კარი და რამდენიმე წყვილი მომლოდინე თვალის შემხედვარე მიხვდა, რომ ქვეყანაში ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი პროფესიის წარმომადგენელი იყო.

სოციალური სტატუსის თვალსაზრისით, დღევანდელსა და იმჟამინდელს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. დღეს გოჩა ძნელაძე საჯარო სკოლის დირექტორია და პედაგოგიურ-შემოქმედებითთან ერთად მენეჯერის საზრუნავითაცაა დატვირთული.

დაიბადა 1967 წლის 29 მარტს, წყალტუბოს რაიონის სოფელ საჩხეურში.

დღნორისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ იმავე – 1985 წლის ნოემბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ინსტიტუტს და წარჩინებით დაამთავრა უკვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსით. მიუხედავად არაერთი თხოვნისა, დარჩენილიყო უნივერსიტეტში, გულმა მაინც მშობლიური სოფლისკენ გაუწია. მაშინდელ რვაწლიან (დღეს საშუალო) სკოლაში, 1992-2004 წლებში, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას და გერმანულ ენას. მცირე ხნით მეზობელ სოფელ დღნორისის საშუალო სკოლაშიც უნერგავდა ახალგაზრდობას მშობლიური ენის სიყვარულს.

2004 წელს საჩხეურის საბაზო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, ხოლო 2007 წელს წარმატებით გაიარა საქართველოს საჯარო სკოლის დირექტორობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ორივე ეტაპი – ტესტირება და გასაუბრება. სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული, მინისტრის ბრძანებით დანიშნულ იქნა საჩხეურის საჯარო სკოლის დირექტორად. 2008 წლის 20 ნოემბერს გოჩა ძნელაძე, რაიონის ცხრა გამორჩეულ პედაგოგთან ერთად, პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი გახდა.

ძირითადი საქმიანობის გარდა, აქტიურად თანამშრომლობს პრესასთან. გაზეთ „წყალტუბოს“ და სხვა პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდება მისი სტატიები და პუბლიცისტური წერილები, რომელთა უმრავლესობა მშობლიური სოფლის საჭირბოროტო საკითხებს და გამორჩეულ თანასოფლელებს ეხება; დაგეგმილი აქვს, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული მასალებისა და სოფლის უხუცესთა ნაამბობის საფუძველზე, გამოსცეს ისტორიული ნაშრომი წიგნად, რომელშიც ასახული იქნება სოფლის წარსული და დღევანდელობა; მზად აქვს გამოსაცემად საკუთარი ლექსების, სტატიების, პუბლიცისტური წერილებისა და იუმორისტული მოთხრობების კრებული.

თითქმის მეოთხედსაუკუნოვანმა შრომამ გოჩა ძნელაძეს აღიარებაც მოუტანა: გაზეთ „წყალტუბოს“ (დღევანდელი „ახალი წყალტუბო“) პირველი ნომრის გამოსვლიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია საპატიო სიგელით; 2009 წელს წარმატებით გაიარა საჯარო სკოლების დირექტორების პროფესიული განვითარების პროგრამა, მიღებული აქვს სერტიფიკატი „ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ფასეულობების გავრცელება სკოლის საზოგადოებაში“; 2010 წელს, განათლების პროფკავშირების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (მიეძღვნა მსოფლიოს გლობალურ აქცია-კვირეულს „განათლება ყველას“), დაჯილდოვდა საპატიო დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით, ნომინაციაში – „საუკეთესო მოთხრობა“ გამარჯვებისათვის; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – იგი პრეზიდენტის სტიპენდიანტია.

ძალზე წყდება გული, რომ დღევანდელი თაობა ნაკლებად აცნობიერებს და შორდება იმ ღირებულებებს, რითაც ქართველს ოდითგანვე მოსწონდა თავი – ზნეობა, პატიოსნება, ოჯახური სიწმინდე. ცხადია, მას და მის კოლეგებსაც უჭირდათ, როცა 90-იან წლებში ხელფასი 5 ლარი, ზოგჯერ – 12, ხანაც საერთოდ არ ჰქონდათ, მაგრამ არსად გაქცეულან, მიწას ებრძოდნენ და სარჩო-საბადებელი თავიანთივე ხელებით მოჰყავდათ და მოჰყავთ დღესაც.

სკოლას, რომელსაც გოჩა ძნელაძე ხელმძღვანელობს, მომავალ წელს საიუბილეო – 100 წელი უსრულდება. მას იმედი აქვს, კეთილი ხალხის დახმარებით შეძლებს, საუკუნოვან იუბილეს სკოლა სახურავშეცვლილი და კეთილმოწყობილი შეხვდეს.

ოჯახიც სანაქებო ჰყავს. მეუღლე ნაზიბროლა ლეთოდიანი პედაგოგია. მათ ოჯახში 4 შვილი: 3 ქალიშვილი და ერთი ვაჟი იზრდება. აქედან 3 – თამარი, ირმა და რუსუდანი წარჩინებული მოსწავლეები არიან, ხოლო ნაბოლარა, ჯანო ჯერ ერთი წლისაა.

„ოპტიმისტური სულისკვეთებით შევყურებ ხვალინდელ დღეს. მწამს, რომ ვიცხოვრებთ აღორძინებულ, აყვავებულ და გაერთიანებულ საქართველოში, მოგონებად დარჩება უსიამოვნო დღეები, ნავთის ქურაზე რვეულების გასწორებაში თეთრად გათენებული, ზამთრის გაუსაძლისი ღამეები... ნათელი, თბილი საკლასო ოთახიც იქნება და საკმარისი წიგნებიც, დიდი ხელფასებიც და მადლობის ნიშნად მორთმეული ყვავილების სიმრავლეც...“ – დასძინა ჩვენთან საუბრის ბოლოს ბატონმა გოჩამ.

***ომარ ჭუმბურიძე***
*გაზეთ „ახალი წყალტუბოს“*
*კორესპონდენტი, წყალტუბოს*
*№2 საჯარო სკოლის პედაგოგი*

საუბრები ბიბლიაზე

# იაკობის ბრძოლა



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

მიუახლოვდა იაკობი თავის სამშობლოს, დაბანაკდა ერთ მინდორზე და დაიწყო მზადება ძმასთან შესახვედრად. მის გულში ძმის, ესავის შიში ჩაბუდებულიყო. მაშინ ღმერთმა გაამხნევა ის და იაკობს ანგელოზთა კრებული გამოეცხადა. იაკობმა დაინახა და თქვა: ეს ღვთის ბანაკია, და უწოდა სახელად ამ ადგილს მახანაიმი.

იაკობისა და ესავის ბოლო, საბედისწერო შეხვედრიდან საკმაოდ დიდი დრო იყო გასული. ამასობაში იაკობი დაოჯახდა, მან ლაბანის, თავისი ბიძის ქალიშვილები ლეა და რაქელი შეირთო ცოლად. ცარიელი ხელებითა და ღვთის იმედით, უცნობ ქვეყანაში გადახვეწილმა დიდძალი ქონება დააგროვა: საქონელი, ცხვრის ფარა, სახედრები, ყმები და სხვა აურაცხელი სიმდიდრით აღვსილი მამისეულ სახლში დაბრუნებისა და ღვთისადმი მიცემული აღქმის გამო ისააკის მიწა-წყლის ახლო-მახლო დაბანაკდა და ევედრებოდა უფალს, რათა ესავს არ ეძია მასზე შური პირმშოებისა და კურთხევის გამო. იაკობს ახსოვდა, მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორი განრისხებული იყო ესავი და როგორ ფიქრობდა მის განადგურებას.

„იაკობმა გაგზავნა მაცნენი ესავთან, თავის ძმასთან, სეყირის ქვეყანაში, ედომის ველისკენ“ (დაბ.32:3). თან დააბარა ეთქვათ ესავისთვის, რომ მისი ძმა მისი მორჩილი დაბრუნდა ლიბანთან ხანგრძლივი სტუმრობიდან: „მყავს ხარები და სახედრები, ცხვრის ფარა და ჩემი ყმები და ყმაქალები. კაცი გამოვუგზავნე ჩემს ბატონს მოსახსენებლად, მადლი მინდა ვპოვო შენს თვალში“ (დაბ.32:5). მობრუნდნენ იაკობის წარგზავნილები და მოახსენეს: „ვიყავით შენს ძმასთან, ესავთან, და ისიც მოდის ოთხასი კაცით შენს შესახვედრად“ (დაბ.32:6).

უფრო შეშინდა და დაღონდა იაკობი. მან გაჰყო ორ ნაწილად თავისი ქონება, პირუტყვი, აქლემები, მოსამსახურენი და სხვადასხვა ადგილას დააბანაკა. იმ შემთხვევაში, თუ მისი ძმა ერთ-ერთ ბანაკს დაეცემოდა, მეორე მაინც გადარჩებოდა. შემდეგ კი ლოცვა აღავლინა და უფალს შესთხოვა: „...ჩემი მამის, აბრაამის, ღმერთო! ჩემი მამის, ისაკის, ღმერთო! უფალო, რომელმაც მითხარი, შენს ქვეყანაში, შენს სამშობლოში, დაბრუნდი და სიკეთეს გიყოფო....მიხსენი ესავისგან, ჩემი ძმისგან, რადგან მეშინია მისი, არ დამეცეს და დედაწულიანად არ ამომწყვიტოს. აკი მითხარი: სიკეთეს გიყოფ, ზღვის ქვიშასავით აურაცხელს გავხდიო შენს შთამომავლობას!“ (დაბ.32:9;11-12).

ამავე დროს, ძმის გულის მოსაგებად გაუგზავნა მას დიდძალი ძღვენი: „ორასი ნეზვი თხა და ოცი ვაცი, ორასი ნერბი და ოცი ვერძი. ოცდაათი მეწველი აქლემი თავის კოზაკებიანად, ორმოცი ფური და ათი ხარი, ოცი ჭაკი ვირი და ათი ჩოჩორი“ (დაბ.32:14-15) ჩააბარა ცალ-ცალკე თავის მორჩილთ და თან დაარიგა: საკმაო მანძილი დაეჭირათ ერთი ჯოგიდან მეორემდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ესავს შეხვდებოდნენ ეთქვათ, რომ ამ ქონებას ესავის მორჩილი იაკობი უგზავნიდა თავის ბატონს და თვითონაც უკან მოჰყვებოდა ჯოგებს.

ამ ხერხით შეეცადა იაკობი ესავის გულის მონადირებას. „...იფიქრა, გულს მოვუგებ წინ წაძღვანებული ძღვენით; მერე კი სახეზე შევხედავ, იქნება შემიწყალოსო“ (დაბ.32:20).

დაღამებისას მოჰკიდა ხელი თავის ორ ცოლს, შვილებსა და მთელ მონაგარს, აგრეთვე დარჩენილ ქონებას და ყველაფერი მდინარე იაბოლის გადაღმა გადაიტანა. თავად კი უკან დაბრუნდა და შეეცადა მომზადებულიყო ძმასთან მშვიდობიანი შეხვედრისათვის. სწორედ აქ, მარტოდ დარჩენილ იაკობს უფალმა ხელახალი განსაცდელი მოუვლინა. „მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას ვიღაც კაცი გათენებამდე“ (დაბ.32:24).

ვინ იყო ის „კაცი“, რომელიც ებრძოდა იაკობს? ზოგიერთი განმარტების მიხედვით ეს იყო ანგელოზი, სხვები მიიჩნევენ, რომ ეს იყო ღმერთი. თუმცა დაუჯერებელია, რომ თავად ღმერთი შეერკინოს ადამიანს და დამარცხდეს მასთან.

„როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო მის თეძოს სახსარს და ელრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: (ესავმა) არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა“ (დაბ.32:25-29).

ეს იაკობის დიდი გამოცდაა. ის იცდება, როგორც ხალხის მამამთავარი. ამ ეპიზოდში აშკარაა იაკობის უშიშრობა, შეუპოვრობა, სიმამაცე.

იაკობი ანგელოზთან შერკინებისას იყო ადამიანიცა და ერიც (დაბ.31-32): მას, როგორც გამორჩეულ პიროვნებას, განვლილი ცხოვრების მანძილზე უფალი მუდამ სწყალობდა; ისევე როგორც აბელი, ნოე, აბრაამი და ისააკი, იაკობიც საუფლო საქმეს აკეთებდა. ერთი შეხედვით, მოქმედებდა როგორც „ერთი ნათესავთაგანი“, მაგრამ მისი გულისყური მუდამ უფლისაკენ იყო მიმართული (დაბ.28-33). თავისი უცნაური წარმატებებით, ერთი მხრივ, საინტერესო და საჭირო პიროვნება იყო, მეორე მხრივ დიდი საშიშროება ემუქრებოდა უახლოესი ნათესავებისაგან და როგორც თერთმეტი შვილის მამას უნდა ეზრუნა თავისი შთამომავლობის გადასარჩენად და იმაზე, რათა ისინი და მათი შვილები მისი ძმის, ესავის შთამომავლობის მონები არ გამხდარიყვნენ. მას, ამავე დროს, უნდა დაებრუნებინა თავისი კანონიერი უფლება ქანაანის მიწაზე.

და მაინც, ვინ იყო ის, ვინც დაამარცხა იაკობმა?

ბიბლიაში ანგელოზი არა ერთხელ შეგვხვედრია. თითქმის ყველთვის ბიბლიის რომელიმე გმირთან ის ღვთისაგან იყო წარგზავნილი და განსაკუთრებული უფლებებით იყო აღჭურვილი (გავიხსენოთ ნოე, აბრაამი, ისააკი).

უფალს არასდროს უკითხავს სახელი, არამედ პირიქით, დაურქმევია ან გადაურქმევია (მაგ. სარა – სარაი; აბრამი – აბრაამი).

იაკობიც ღებულობს ახალ სახელს – ისრაელს – და ეს სახელი ერის სახელია, იმ ერისა, რომლის საწყისიც იაკობში და მის შვილებშია დაუნჯებული.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იაკობის ბრძოლა გახდა დასაბამი ახალი ერის იდენტურობისა (დაბ:32). მართლაც, საოცარია საკუთარი ბიძის მიერ მრავალჯერ მოტყუებულმა და ძმის შიშით შეპყრობილმა იაკობმა სათავე დაუდო ახალ ერს – ისრაელს, რომელიც ამავე დროს უფლის წილხვედრია. ეს იყო იაკობის უკომპრომისო ბრძოლისა და ურყევი ნების გამოხატვის შედეგი. იაკობის აღთქმა ასეთია: „უკეთუ ღმერთი ჩემთან იქნება და დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც ვადგავარ, მომცემს პურს საჭმელად და სამოსელს შესამოსად, მშვიდობით დავბრუნდები მამისეულ სახლში და უფალი იქნება ჩემი ღმერთი“ (დაბ.28:20-21). იაკობს პური, სამოსელი და არც რაიმე სხვა სახის დახმარება არავისათვის უთხოვია. მხოლოდ უფალი იყო მისი ერთადერთი იმედი.

მაშ ვის შეებრძოლა და ვინ დაამარცხა იაკობმა?

უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ იაკობი და ესავი ტყუპები არიან და რომ სრულიად საპირისპირო ზნისა და ხასიათის ძმები თავიანთი ცხოვრებით ღვთის მაძიებლისა და წარმართის თანაცხოვრების, ბრძოლის, დაპირისპირების ერთგვარი დასურათებაა. არაერთხელ უგრძვნია იაკობს ღვთის მხარდაჭერა, არაერთხელ უხსნია უფალს იგი განსაცდელისგან. მაგრამ ესავთან ხელახალი დაპირისპირება ჩადენილი გადაცდომების, ხრიკებისა თუ ხერხების შემდეგ სასოწარკვეთაში აგდებდა მას. ის სრულიად უნდა გათავისუფლებულიყო თავისი უარყოფითი, ბიწიერი ნაწილისგანაც და იმ ველური, „მხეცური“ ზნით შეპყრობილი ესავურისაგანაც, რომელიც მას ტყუპისცალთან აკავშირებდა და რომელთან ჭიდილშიც ყმაწვილკაცობიდანვე უხდებოდა თვითდამკვიდრება. ამ ბრძოლაში იაკობმა ნათლად შეიგრძნო ღვთის მიმართ სასოება, ჩაეჭიდა მას და არ ეთმობოდა. და მხოლოდ ასეთი ჭიდილის შემდეგ, ჭეშმარიტად ღვთიური მადლით აღვსილი იაკობი ღირსი გახდა ღვთის ნიშნით გამორჩეული ერის საწყისად მოვლინებოდა სამყაროს.

მეორე დილით იაკობმა დაინახა ესავი, რომელიც თავისი ოთხასკაციანი ამალით ძმისაკენ მოემართებოდა. დაინახა იაკობმა მისკენ მომავალი ძმა, დაიყენა წინ ლეა და რახელი, მხევლები და მათი შვილები და მიეგება ესავს და შვიდჯერ თაყვანი სცა „სირბილით შეეგება ესავი, გადაეხვია, ყელზე მოეჭდო, გადაკოცნა, და ატირდნენ ორთავენი“ (დაბ.33:4). კარგა ხანს ისაუბრეს: „...შენი სახე რომ დავინახე, გინდ ღვთის სახე დამენახოს და შენც წყალობით შემომხედე“ (დაბ.33:10) – უთხრა იაკობმა, თან თავისი ოჯახობა წარუდგინა, მათაც თაყვანი სცეს ესავს. ესავმა თავისთან მიიპატიჟა ძმა. მაგრამ იაკობმა მამამისის სახლში, ქებრონისაკენ მოისურვა წასვლა. „მოვიდა მშვიდობით ფადან-არამიდან წამოსული იაკობი შექემ-ქალაქად, ქანაანის ქვეყანაში რომ არის, და დაიბანაკა ქალაქის წინ. შეიძინა იაკობმა ას ცხვრად შექემის მამის, ხამორის ძეთაგან მინდვრის ნაწილი, სადაც კარავი ედგა. აღმართა იქ სამსხვერპლო და უწოდა მას: ელი, ღმერთი ისრაელისა“ (დაბ. 33:18-20).

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში მოსწავლეთა მიერ შექმნილი ინოვაციური პროექტების გამოფენას გაეცნო. გამოფენა პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში გაიმართა.

მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარდა და მისი მიზანი იყო: მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლება; ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივება; გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენა; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით მათი სტიმულირება.

კონკურსში მონაწილეობა საქართველოს სკოლების ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. კონკურსი ორ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა: VII-IX კლასები, X-XII კლასები. კონკურსანტს უნდა წარმოედგინა საკონკურსო განაცხადი გამოგონების ტექსტუალური აღწერილობით და ილუსტრაცია, ნახაზის ან მოდელის სახით.

კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით, სკოლებში, ერთი თვის განმავლობაში, საჯარო ლექციები მიმდინარეობდა. ამ აქციაში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 50-მდე მეცნიერი, მათ შორის ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი მონაწილეობდა. ლექციები, ძირითადად, „აინშტაინის“ პროგრამის ფარგლებში აღჭურვილ ლაბორატორიებში ჩატარდა და მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს.

კონკურსში ჩაერთვნენ საქართველოს ყველა რეგიონის მოსწავლეები. ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებებით, ასევე, გამოგონებები იყო სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკის და საინჟინრო სფეროებში.



საკონკურსო კომისიის მიერ 7 საუკეთესო პროექტი შეირჩა, რომელთა ავტორებიც მედლებით, დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ. საკონკურსო განაცხადებში შემოსული ყველაზე საინტერესო და ინოვაციური პროექტები კი, ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში გამოიფინა. ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტების ავტორები საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციებს აკეთებდნენ და დამთვალიერებლის შეკითხვებს პასუხობდნენ. გამოფენას ესწრებოდნენ როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეები.

მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვებულები დააჯილდოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **სულხან სისაურმა**.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გრანპრი პროექტისთვის „რობოტი მზესუმზირა“ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებს – **დავით ბულისკირიას** და **ლევან გაბისონიას** გადაეცათ. ისინი მიმდინარე წლის ივლისში, ინგლისში, 4-კვირიანი სასწავლო ტურით გაემგზავრებიან. X-XII კლასების ასაკობრივ კატეგორიაში დაჯილდოვდნენ: პირველი ადგილითა და 5 000 ლარით – პროექტის „საგანგაშო ღილაკი“ ავტორი **დიმიტრი კოლოტაური** (სოფელ დიღმის სკოლა); მეორე ადგილითა და 3 000 ლარით – პროექტის „ზამბარიანი რეოსტატი“ ავტორი **ლაშა ხუციშვილი** (ახალციხის N5 საჯარო სკოლა); მესამე ადგილითა და 2 000 ლარით – პროექტის „მოძრაობის მაგნიტური გამაძლიერებელი“ ავტორი **ლაშა ჩალაძე** (სოფ. აფენის N1 საჯარო სკოლა).

VII-IX კლასების ასაკობრივ კატეგორიაში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი და 5 000 ლარი – პროექტის „სახლის სეისმოგრაფი“ ავტორი **გიორგი მეშველიანი** (კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა); მეორე ადგილი და 3 000 ლარი – პროექტის „მწვანე უცხოპლანეტელი – 25“ ავტორი **თემურ ჩიჩუა** (N4 საჯარო სკოლა); მესამე ადგილი და 2 000 ლარი – პროექტის „წიგნი: რა ვაკეთოთ თავისუფალ დროს“ ავტორი **ლუკა მარკოზაშვილი** (N31 საჯარო სკოლა). ასევე, დასაჩუქრდნენ გრანპრისა და პირველ ადგილებზე გასული პროექტების წარმომდგენი სკოლები, ყველა მათგანს ინტერაქტიული დაფა (smartboard) გადაეცა.

სამინისტრომ კონკურსში მონაწილე ყველა პროექტის ავტორი დიპლომებით დააჯილდოვა. ფავორიტი პროექტები კომპანია „ბილაინმა“ დააჯილდოვა – პროექტების – „სარკინიგზო რელსების ორიგინალური გადაბმა“ და „SMART-ივი განათების“ – ავტორებს მობილური ტელეფონები, პროექტის „ბარნაბა“ ავტორს კი USB მოდემი გადასცა; ერთთვიან სტაჟირებას გაივლის კომპანია „ვისოლ ჯორჯია პეტროლიუმში“ პროექტის „ფიზიკის ელექტრონული ლექსიკონი“ ავტორი **სალომე ყიფიანი**; 10 პროექტის ავტორი დააჯილდოვა ჟურნალმა „ჯუნიორმა“ ერთწლიანი უფასო ხელმოწერით; გამომცემლობა „ლოგოს პრესმა“ სამეცნიერო-შემეცნებითი წიგნები – „ლეონარდო და ვინჩი“ და „მარკო პოლო“ – 19 მონაწილეს გადასცა.

საგანმანათლებლო კერა

# გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი

ქუთაისში რევოლუციამდელ პერიოდში მრავალი სასულიერო და საერო ხასიათის სასწავლებელი გაიხსნა.

ახალი სასწავლებლის გახსნისას პირველი სირთულე ნებართვის მიღებით იწყებოდა. ქუთაისში მცხოვრებ ერთ-ერთ მემამულეს სტრუიცკის ბალახვანში ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთი, მშვენიერი ბაღით, ორსართულიანი შენობითა და ამავე ეზოში აგებული ულამაზესი პატარა ეკლესიით. 1888 წელს სტრუიცკიმ მთელი ეს ქონება უანდერძა სასულიერო უწყებას, საქართველოს საეპარქიო სამმართველოს. გაბრიელ ეპისკოპოსმა კარგად ისარგებლა ამ შემთხვევით და ეცადა, რომ მის ბაზაზე გაეხსნა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. ასეთი სტილის სკოლების მუშაობის გამოცდილება ამ პერიოდის საქართველოში ნამდვილად არსებობდა. ამ სასწავლებელს თავისი სტრუქტურით ჩამოჰგავდა 1866 წელს უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული და საქართველოს ეგზარქოსის ევსევის შუამდგომლობით გახსნილი, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი.



ამ სასწავლებლის მიზანს შეადგენდა *„მტკიცე მართლმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს“.*

ასეთი მაგალითის არსებობა თავისთავად ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა აღძრა შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ სტრუიცკის ყოფილ სახლში გახსნილიყო იმერეთის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. 1889 წელს სინოდმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და გაბრიელ ეპისკოპოსმაც სკოლის მოწყობა-გაფართოებისა და გამშვენიერების საქმეს დიდი ენერგია შესწირა და ფულად ათი ათასი მანეთი გაიღო.

1889 წელს შეიქმნა ეპარქიული სასწავლებლის გახსნის კომიტეტი, გაბრიელ ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით. მცხეთის დედათა სასწავლებლის მსგავსად არ იყო საშუალება თავიდანვე სრული სასწავლებელი გაეხსნათ, ამიტომ კომიტეტი შეუდგა მზადებას უფრო მცირე, სამკლასიანი სასწავლებლის გასახსნელად, ერთი მოსამზადებელი კლასით. ეს პროცესი თითქმის ორ წელიწადს (1890-1892) გაგრძელდა. საორგანიზაციო კომიტეტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლებლისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევას. ბევრ ახალგაზრდას სურდა ახალგახსნილ სასწავლებელში დაეწყო სწავლა. უპირატესობა სასულიერო წრის წარმომადგენლებს ეძლეოდათ, თუმცა, რამდენიმე ადგილი საერო პირთათვისაც რჩებოდა. დასაწყისისათვის მისაღები კონტინგენტი 45-ით განისაზღვრა.

მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დაინიშნა ი. ასათიანი; კლასის ზედამხედველად და ბიბლიოთეკის გამგედ – ქ. ჩიქოვანი; სასწავლებლის ექიმად ს. ლორთქიფანიძე მოიწვიეს, გალობის მასწავლებლად კი – კ. მაღრაძე.

1892 წლის 21 იანვარს გააუქმეს სასწავლებლის გახსნის კომიტეტი და შეადგინეს სასწავლებლის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ კვლავ გ. ცაგარეიშვილი დაინიშნა. წევრები იყვნენ: ი. ჭეიშვილი და ნ. ყუბანეიშვილი. მოგვიანებით, 1894 წელს, სასწავლებლის უფროსად დაინიშნა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული ნინო თავდგირიძე, ინსპექტორად კი – იოსებ დავითაშვილი. იმავე წელს, საღვთო სჯულის მასწავლებლად მოიწვიეს ი. ჭირაქაძე, რუსული და ქართული ენების მასწავლებლად – ვ. ვარდანაშვილი.

1892-1893 სასწავლო წლისათვის უკვე მზად იყო 7 სამოსწავლო საკლასო ოთახი, საგამოცდო კომისია და ადმინისტრაცია. გამოცდების ჩატარების შემდეგ მაღალ მოსამზადებელ კლასში 13 გოგონა ჩარიცხეს, დაბალ მოსამზადებელ კლასში – 20. სულ სასწავლებელში მიიღეს 42 მოსწავლე გოგონა. მათ შორის ძირითადი ნაწილი სასულიერო უწყებიდან იყო, სულ – 38. დანარჩენი 4 მოსამსახურეთა შვილები იყვნენ.

შემდგომ წლებში უკვე პოპულარული სკოლა ამართლებს თავის არსებობას. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე მოთავსებული, ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის ხელმძღვანელობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 1913 წელს ხსენებული სასწავლებლის არც ერთ კლასში ვაკანტური ადგილი არ ყოფილა, გარდა მოსამზადებელი კლასებისა.

ამ სკოლას ხშირად სტუმრობდა ეპარქიის არქიელიც, ამოწმებდა პედაგოგთა და მოსწავლეთა მომზადების დონეს, ცდილობდა დახმარებოდა მათ საჭიროების მიხედვით. იგი, ყოველი სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, სრულ ანგარიშს წარუდგენდა ხოლმე უწმინდეს სინოდს სასწავლებლის საერთო მდგომარეობისა და მისი ზნეობრივი მხარის შესახებ. მასწავლებლის დანიშვნა და მისი განთავისუფლებაც ეპარქიის არქიელის საქმე იყო. მისსავე ფუნქციებში შედიოდა ვინმეს დაჯილდოება თუ შუამდგომლობაც. არქიელის მეშვეობით ხდებოდა პარალელური განყოფილებების, ან კიდევ, ახალი სასწავლებლების გახსნა.

თითოეული ეპარქია, სასწავლებლთა რიცხვის მიხედვით, იყოფოდა ნაწილებად, რომელთაც ოლქები ეწოდებოდა. ადგილობრივი სამღვდელოება ვალდებული იყო, ეზრუნა შესაბამისი ოლქის სასწავლებელზე.

ხშირად იმართებოდა ეპარქიათა ყრილობები, რომელსაც ესწრებოდნენ სასწავლებლის სამმართველოს წევრები. ისინი აწვდიდნენ ცნობებს სასწავლებლის საქმიანობის შესახებ. ამ ყრილობებზე ხდებოდა სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯების მოძიება, მოსწავლეთა გადასახადებისათვის ზრუნვა და ა. შ.

სამმართველო ცდილობდა და ბევრჯერ ახერხებდა კიდეც, საუკეთესო სასწავლო საშუალებები მიეწოდებინა სკოლისათვის, მაგალითად: ლექსიკონები, გეოგრაფიული და ისტორიული რუკები, წიგნები თუ სხვა საჭირო ნივთები.

როგორც ცნობილია, სასულიერო სასწავლებლები ძირითადად იხსნებოდა სასულიერო პირთა შვილებისათვის. ეს ეპარქიულ სასწავლებელშიც ასე იყო (თუმცა, უმნიშვნელო რაოდენობით აქ სხვებიც სწავლობდნენ). სასწავლებელი მიზნად ისახავდა საშინაო მასწავლებლის („Домашняя учительница“) მომზადებას. 1907 წლიდან სამრევლო სკოლის მასწავლებლის მომზადებაც დაიწყეს.

ეპარქიულ სასწავლებელთან არსებობდა „Образовательное училище“-დ წოდებული სამგანყოფილებიანი სასწავლებელი. სამივე განყოფილება ერთ კლასში იყო და სამივეს ერთდროულად ასწავლიდა ერთი მასწავლებელი. სწავლობდნენ ქართულს, რუსულს, არითმეტიკას, საღვთო სჯულს და სხვა საგნებს.

დასაწყისისათვის საღვთო სჯულს ტარასი სოხაძე ასწავლიდა, დანარჩენ საგნებს მხოლოდ ერთი მასწავლებელი – ნადია სანიკიძე. ქართულ ენაზე მხოლოდ ქართული და საღვთო სჯული ისწავლებოდა, დანარჩენი ყველაფერი რუსულ ენაზე. ბავშვებს ძალიან უჭირდათ რუსული ენის გაგება, ზოგჯერ დამახინჯებულადაც კი სწავლობდნენ.

საოცრად თბილი დამოკიდებულება ყოფილა ეპარქიულ სასწავლებელში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.

ეპარქიულმა სასწავლებელმა 1892 წლიდან 1920 წლამდე იარსება. სასულიერო პირთა ქალიშვილების აღზრდას როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, სწორედ ასეთი ეპარქიული სკოლები ემსახურებოდნენ. თავისი არსებობის მანძილზე აქ 1860-მდე გოგონა აღიზარდა. მათგან სრული კურსი მხოლოდ 728 მოსწავლემ დაასრულა.

სასწავლო გეგმის მიხედვით, აქ ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა (რომელსაც მხოლოდ ორი საათი ჰქონდა დათმობილი კვირაში), არითმეტიკა მეთოდიკით, გეოგრაფია, ფრანგული ენა, დიდაქტიკა, ფიზიკა, გეომეტრია, სლავური და ქართული გალობა, ფსიქოლოგია, ალგებრა, ისტორია, რუსული ენის მეთოდიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, ხელსაქმე, უცხოეთის ლიტერატურა და პედაგოგიკის ისტორია. სასწავლო პროგრამებმა ცვლილებები განიცადა 1899 წელს. 1907 და 1917 წლებში, სასწავლებლის გარდაქმნასთან დაკავშირებით, ეპარქიულ სასწავლებელში, ისე როგორც სხვა სკოლებში, პროგრამებს საგნის მასწავლებლები ადგენდნენ.

1890 წელს სამკლასიანი სასწავლებელი ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1903 წლისათვის ექვსივე კლასი დაკომპლექტებული იყო. სასწავლებელთან გაიხსნა საბაზო დაწყებითი სკოლა (გამგე – ლაზარე ხმალაძე), 24 მოსწავლე გოგონათი. ამ სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ სასწავლებლის I კლასის მოსწავლეები. ისინი აკვირდებოდნენ საბაზო სკოლის ცხოვრებას, მორიგეობდნენ სანიმუშო სკოლაში. თითოეული მათგანი თითო გაკვეთილს გადაცემდა პარასკეობით. საცდელ გაკვეთილებს ესწრებოდნენ სასწავლებლის უფროსი, ინსპექტორი, დიდაქტიკის მასწავლებელი და სხვ. გადაცემული გაკვეთილების გარჩევა ხდებოდა კვირაში ერთ დღეს.

სკოლას უნდა მოემზადებინა სამრევლო სკოლის მასწავლებლები, ამიტომ აუცილებელი იყო პედაგოგიური პრაქტიკისათვის ერთი წელი მაინც დაეთმოთ. 1907 წლისათვის, ამ მიზნით, უკვე გაიხსნა მე-7 კლასი, რომელიც პედაგოგიურ კლასად იწოდებოდა და კურსდამთავრებულს სამრევლო სკოლის მასწავლებლობის უფლებას აძლევდა. ეპარქიულ სასწავლებელთან დაარსებული იყო სანიმუშო პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომელიც 1898 წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნა და რომლის დაარსების ინიციატორი დიდაქტიკის მასწავლებელი ლაზარე ხმალაძე იყო.

ლაზარე ხმალაძე 17 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ მსახურობდა იმერეთის ეპარქიული სასკოლო საბჭოს წევრად. იგი იბრძოდა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებში ცნობილი რუსიფიკატორის ვოსტორგოვის პროგრამების წინააღმდეგ. 1916 წელს სამრევლო სკოლების იმპერიის მეთვალყურემ, ვანჩაკოვმა, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლები დაათვალიერა და სასკოლო საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა. მოხსენებაში საყვედური გამოუცხადა სკოლის საბჭოს ურჩობისათვის, ვოსტორგოვის პროგრამის უარყოფისათვის. მას, საბჭოს სახელით, პასუხი ლაზარე ხმალაძემ გასცა და დაამტკიცა მთელი ამ პროგრამის ანტიპედაგოგიური ხასიათი, მისი რუსიფიკატორული მიზნები. ვანჩაკოვმა საბოლოო სიტყვაში მხოლოდ ისღა თქვა, რომ ქუთაისის ეპარქიის სასკოლო საბჭო იმპერიაში ყველაზე უფრო რევოლუციური საბჭოაო.

ლაზარე ხმალაძემ თავისსავე დაარსებულ პრაქტიკის სკოლაში მასწავლებლად დანიშნა პატიოსანი, ნიჭიერი და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ქალი – ოლია დუმბაძე. საარქივო მასალებში ბევრგან გვხვდება მის მიმართ გამოთქმული საქები სიტყვები. იგი, ლაზარეს ხელმძღვანელობით, ერთდროულად სამ განყოფილებასთან აწარმოებდა მეცადინეობას. აქ, ამ სკოლაში, უფროსი კლასის მოსწავლეები პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ, ამიტომ კურსდამთავრებულები ცხოვრებაში საკმაოდ მომზადებულები გამოდიოდნენ. ბევრი კარგი მასწავლებელი აღზარდა ეპარქიულმა სასწავლებელმა. ბეჯით მოსწავლეებს დამთავრებისას ეძლეოდათ ოქროსა და ვერცხლის მედლები. 1912 წელს გაზეთი „კოლხიდა“ ახალ ამბებში იუწყებოდა, რომ იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელი დაასრულა 33-მა ქალმა.

რაც დრო გადიოდა, ეპარქიული სასწავლებლის პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 1908-1910 წლებისათვის სასწავლებელს დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა, რომლებიც გამოცდებს აბარებდნენ სამრევლო სკოლის მასწავლებლის უფლებისათვის. პირველად ისინი მოსწავლეთა პედაგოგიურ პრაქტიკას ეცნობოდნენ.

1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში ეპარქიული სკოლის მოსწავლეებმაც თავისი წვლილი შეიტანეს.

1904 წლის 3 თებერვალს მე-6 კლასის 13 მოსწავლიდან მხოლოდ ორი გამოცხადდა სკოლაში, მე-5 კლასის 24-იდან – 8, მე-4 კლასის 29 მოსწავლიდან კი – 14. სულ სკოლაში 43 მოსწავლე აკლდა. ამ ფაქტმა შეაშფოთა სასწავლებლის ადმინისტრაცია, აგრეთვე იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარია, ეგზარქოსი და სინოდიც კი. გამოირკვა, რომ ეს მოსწავლეები დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ. მათი საკითხი 6 თებერვალს სასწავლებლის საბჭომ განიხილა. „დამნაშავეები“ სამ კატეგორიად დაახარისხეს.

მოგვიანებით სასკოლო საბჭოს სხდომამ დაადგინა: I ჯგუფის „დამნაშავეებს“ ყოფაქცევაში – ნიშანი „3“ და გარიცხულიყვნენ სასწავლებლიდან გადასაყვან გამოცდებამდე, ე. ი. სასწავლო წლის ბოლომდე.

II ჯგუფის „დამნაშავეებს“ ყოფაქცევაში – ნიშანი „4“ და დასჯილიყვნენ სკოლაში ორსაათიანი პატიმრობით, ზოგიერთი მათგანი კი, უფროსების შეხედულების მიხედვით, უფრო მეტი ხნითაც.

III ჯგუფის „დამნაშავეებს“ მიკუთვნებული მოსწავლეები დაუსჯელნი დატოვეს, რადგან არ იცოდნენ მათი გაკვეთილებზე არყოფნის მიზეზები. არ დასტურდებოდა მათი მონაწილეობა დემონსტრაციაშიც.

1904 წლის 9 ივნისს უწმინდესმა სინოდმა მოისმინა ქუთაისის ეპარქიული სასწავლებლის მოსწავლეთა საქმე, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ზემდგომ ორგანოებში. მდგომარეობა გართულდა. ამის გამო სინოდმა მოხსნა სასწავლებლის უფროსი ნინო თავდგირიძე და გადააყენა ინსპექტორი დობროლოვსკი. ეგზარქოსმა დაავალა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდს: თუ ახალი პანსიონის აშენება ვერ მოხერხდა, დაიქირავეთ საერთო საცხოვრებელი, რომელშიც მოათავსებთ ყველა მოსწავლეს და ამით გზას გადაუღობავთ მათზე მავნე გავლენასო.

1905 წლიდან ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ამავე წლის მეორე მეოთხედიდან ეპარქიულ სასწავლებელში სწავლა უკვე მთლიანად შეწყდა. ჯერ მაღალი კლასები დაითხოვეს მეცადინეობიდან, შემდეგ დაბალი კლასებიც ზედ მიაყოლეს.

რა თქმა უნდა, ზემდგომი ორგანოები ყოველთვის განტევების ვაცს ეძებდნენ. აქაც ეგზარქოსმა და სინოდმა ჯავრი მთლიანად სასწავლებლის ხელმძღვანელობაზე იყარეს. მათ დაშალეს პედაგოგიური საბჭო. დეკანოზი ვ. ცაგარეიშვილი გაათავისუფლეს, თითქოს „თანახმად მისი თხოვნისა“. მის ადგილზე, 1905 წლის 5 ივლისს, კორნელი კეკელიძე დანიშნეს.

## საგანმანათლებლო კერა

თავისთავად კორნელი კეკელიძის დანიშვნა ქართული სულის ამოძრავებას ნიშნავდა. მისი მუშაობის პერიოდში შეიქმნა პროექტი აღნიშნული სასწავლებლის გარდაქმნის შესახებ. პროექტში აღძრული იყო უმნიშვნელოვანესი საკითხები. კერძოდ, ახალგაზრდებს ქართულ ენაზე უნდა შეესწავლათ ყველა საგანი, გარდა რუსული ენის, რუსული ლიტერატურის, რუსეთის ისტორიისა და რუსეთის გეოგრაფიისა.

პროექტის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: სურს რა გაატაროს ეს ცვლილებები, სასკოლო საბჭო დარწმუნებულია, რომ ამით სწავლა-აღზრდის საქმე მოიგებს. ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლება გააადვილებს მეცნიერებათა ათვისებას.

ამ პროექტის მთლიანად განხორციელება იმ პერიოდში შეუძლებელი იყო, მაგრამ ასეთ მოთხოვნას ცარიზმის პირობებში, და ისიც სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელისაგან, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საერთოდ, სხვა სასულიერო სასწავლებლებთან შედარებით, ქალთა ეპარქიული სასწავლებლის ხელმძღვანელობის სტრუქტურა განსხვავდებოდა სხვა სასწავლებლებისაგან. ეპარქიულ სასწავლებელს ჰყავდა საბჭო, რომელსაც თავმჯდომარე განაგებდა. ხოლო სასწავლებელს მართავდნენ „უფროსი ქალი“ („Начальница“) და ინსპექტორი. „უფროსი ქალი“ აღზრდის საქმეებს განაგებდა, ინსპექტორი – სწავლების პროცესს. ორივე მათგანი საბჭოს თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა.

სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, სხვადასხვა დროს, დანიშნულნი იყვნენ: ვ. ცაგარეიშვილი (1892-1905), კ. კეკელიძე (1905 წლის 5 ივლისიდან 1906 წლის 28 მაისამდე), ნ. ყუბანეიშვილი (1906-1907), მ. ცაგარეიშვილი (1907-1912), ი. აბესაძე (1912-1917), შემდეგ ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა სასწავლებლის ინსპექტორს ტ. ჯაფარიძეს; „უფროსი ქალისა“ – ნ. თავდგირიძეს (1894-1904), ე. გორბაცევიჩს (1904-1905), ს. ახვლედიანს (1905-1906), ა. პოპედოვას (1906-1907), მ. ვარდოსანიძეს (1907-1919), ა. ბახტაძეს (1919-1921); სასწავლებლის ინსპექტორისა – ი. სანებლიძეს (1894-1899), ა. ნიკოლსკის (1899-1905), მ. ჩოგოვაძეს (1905-1915), ტ. ჯაფარიძეს (1910-1921).

რა თქმა უნდა, ზოგიერთი ამ ხელმძღვანელი პედაგოგის, პირველ რიგში, კორნელი კეკელიძის, ტრიფონ ჯაფარიძის, მარიამ ვარდოსანიძის და სხვათა გარეშე, ქალთა ეპარქიული სასწავლებლის ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. მათთან ერთად, ამ სკოლის კოლექტივს ბევრი სხვა ნიჭიერი „რიგითი“ მასწავლებელი ამშვენებდა. მათ შორის იყვნენ: ლაზარე ხმალაძე, ვლადიმერ ვეკუა, ევსევი მიქელაძე, სიმონ ეზიკაშვილი და მრავალი სხვ.

ქალთა სასწავლებლების მიზანი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო არა მარტო სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების შესწავლა, არამედ მათი აღზრდა ისეთ ქალებად, რომლებიც კარგი მეოჯახენი, საუკეთესო დედები და მაღალი ზნეობის მეუღლეები იქნებოდნენ. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი ამ მისიას ძირითადად ბრწყინვალედ ასრულებდა.

ასე რომ, ქუთაისის ეპარქიული სასწავლებელი წარმოადგენდა ქართული სულიერი განათლებისა და კულტურის კერას, რომელიც თავის სითბოსა და სინათლეს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს უზიარებდა. ამ კერის შემქმნელი და ხელმძღვანელი, ძირითადი სიმძიმის მზიდველი იყო ცნობილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში – გერასიმე ქიქოძე, 1825-1896).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გაბრიელის სახელობის იმერეთის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელს გაბრიელის სახელობის გიმნაზია ეწოდა, მაგრამ სასწავლებლის შინაარსი ამით არ შეცვლილა. დარჩა იგივე პროგრამა, იგივე მასწავლებლები, იგივე ატმოსფერო.

დროდადრო ქუთაისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ტარდებოდა საღამოები. აქაური მოსწავლეები მაყურებლებს განაცდევინებდნენ ისეთ წუთებს, დღიურ ჭირვარამს რომ ავიწყებდა მათ.

ქუთაისის ეპარქიულ სასწავლებელს თავიდანვე ჰქონია მოზრდილი ეზო – 8778 კვ. მეტრი მიწის ფართობით, 14-ოთახიანი შენობა, ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდით და სხვ. 1921 წლიდან ამ სკოლას ბევრჯერ შეეცვალა სახელი. 1921 წელს მისთვის უწოდებიათ მე-9 შრომის სკოლა.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე (1892-1921) ქალთა ეპარქიული სასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. სასწავლო-აღმზრდელობითმა მუშაობამ, ბრწყინვალე პედაგოგიურმა კადრებმა, საგნების ქართულ ენაზე სწავლებისადმი ახალი დამოკიდებულების დამკვიდრებამ და მისმა გამოყენებამ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების პროცესში, აგრეთვე მოსწავლეთა წარმატებებმა აამაღლა აღნიშნული სკოლის ღირსება და ავტორიტეტი ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს საზოგადოებაში.

ქუთაისის ეპარქიული სასწავლებლის ისტორიას კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სახალხო განათლების კაბინეტის ფონდში შენახული ორი ფოტოსურათი. ერთზე გამოსახულნი არიან ქუთაისის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები 1915 წელს, მასწავლებლებთან ერთად. მეორე ფოტოსურათი 1926 წელს განეკუთვნება.

ასე რომ, შრომას, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე დაიხარჯა, გარჯასა და მცდელობას პედაგოგებისა, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ, უსარგებლოდ არ ჩაუვლია. სკოლამ თავისი როლი პირნათლად შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

***ლია გაბუნია***
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი*

***გურამ გაბუნია***
*სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი*

## ინფორმაცია

# იარონ, იარონ, იარონ, ამინ!



ჯერ მხოლოდ მე-3 კლასში არიან და უკვე კარგად იცნობენ გამოჩენილ, დიდ ქართველ მწერლებსა და პოეტებს. ისინი ხშირად აწყობენ „პოეზიის საღამოებს“. ყოველი ღონისძიება განსხვავებულია ერთმანეთისგან, თითოეული გამოირჩევა ორიგინალურობით. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების მოწყობაში მთავარი როლი მოსწავლეებს ეკისრებათ – მასწავლებელი მხოლოდ შესთავაზებს მწერალს, შემდეგ კი მოსწავლეები თავად ეძებენ მწერლის ბიოგრაფიას, ირჩევენ სასურველ ლექსს, სწავლობენ და ბოლოს წარმოადგენენ მშობლებისა და მასწავლებლების წინაშე.

მათ უკვე ჰქონდათ ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ნ. დუმბაძის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციები. ბოლოს გ. ლეონიძის შემოქმედებას ეზიარნენ. მის შესანიშნავ ლექსებთან ერთად, „ნატვრის ხიდან“ და „ფუფალადან“ წარმოადგინეს ინსცენირებული ნაწყვეტები.

ამჯერად კი, ყველასთვის სათაყვანებელი პოეტის, სასიქადულო მამულიშვილის, ჭეშმარიტი პატრიოტის – მუხრან მაჭავარიანის პოეზია წარმოადგინეს 90-ე საჯარო სკოლის მე-$3^1$ კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი – **მანანა ბეგიაშვილი**). ღონისძიება სკოლის მუზეუმში პოეტის ბიოგრაფიის გაცნობით გახსნა **მარი ჩინჩილაკაშვილმა**. ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები მხატვრულად წაიკითხეს: **ნიკა ბუჩუკურმა, ლევან ბასილაშვილმა, თინათინ გაფრინდაშვილმა**. სამშობლოსა და მისი გმირი წინაპრებისადმი მიძღვნილი, პატრიოტიზმით განმსჭვალული ლექსები წარმოადგინეს: **გიორგი მექვევრიშვილმა, ლუკა ნარიმანიძემ, ნინო სირბილაშვილმა, გიორგი კორკოტაშვილმა, ედგარ კალანდაროვმა, მარიამ მაისურაძემ, თემურ მუშკიაშვილმა, დავით სადუნიშვილმა, სალომე ხაბელაშვილმა, ზურა ქვარცხავამ, გიორგი ჯიბლაძემ, მარიამ ხუციშვილმა, ლიკა ხატიაშვილმა, ლიზი ნადირიძემ.** დედისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს **ავთო დათიაშვილმა** და **ანი მოდებაძემ**, ხოლო გაზაფხულის შემოსვლას, მის ლამაზ, ხალისიან ბუნებას, გადამწვანებულ და გადაყვავილებულ მშობლიურ ველებს „უმღერდნენ“: **ნინო ქაჯაია, ქეთევან მერკვილაძე, მარიამ ფრიდონიშვილი, ლევან ზაუტაშვილი, ლუკა ტაბატაძე, მარიამ კორკოტაშვილი** და **ლაშა ჩიბიროვი**. მუხრანის პოეზია ხომ წარმოუდგენელია „საბას“ და „ვითარცა მტკვარის“ გარეშე! სწორედ ამ ლექსებით დაასრულეს ზეიმი **ქეთევან ლაგაზაშვილმა** და **მარიამ ხატისკაცმა**.

ყველა მოიხიბლა პატარების მონდომებით. მანანა მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს გაწეული მუშაობისთვის და უსურვა, საამაყო წინაპრების ღირსეული შთამომავალნი ყოფილიყვნენ.

***ანი გიორგაძე***

# დროისა და მოთხოვნების შესაბამისად

პირველად იყო სიტყვა... ეს ისტორიაც ასე დაიწყო, ხოლო „სიტყვაი იგი“ შეზავებული გახლდათ არა „მარილითა მადლისაითა“, არამედ – უნდობლობით, არაკეთილგანწყობით, დაუფარავი აგრესიითაც კი...

ვისაც პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ საზოგადოებაში არსებობდა ეჭვი, რომელიც საფუძვლიან შეშფოთებას იწვევდა: რა საჭიროა გამოცდები? სჭირდებათ კი მასწავლებლებს სწავლებისა და განვითარების თეორიები? რისი მომცემია ამდენი ახალი ინფორმაცია? ხომ არ იქცევა იგი ფუჭ ცოდნად – ცოდნად მხოლოდ ერთი საგამოცდო დღისათვის?

როცა არსებობს კითხვა, მასზე პასუხიც უთუოდ მოიძებნება. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი შეეცადა, ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი გაეცა, ოღონდ ერთი პირობით – ეს უნდა ყოფილიყო „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

მალე ეს ჩანაფიქრი იქცა დიდ გამოწვევად, რომელსაც კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა – სკოლა შეეცადა, საქმით წარმოეჩინა საკუთარი პოზიცია: პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები საჭირო და აუცილებელია. სწავლებისა და განვითარების თეორიების ცოდნა და გამოყენება სასწავლო პროცესს მოქნილს, მიმზიდველს, სიღრმისეულსა და სახალისოს ხდის.

ამრიგად, ოზურგეთის №4 საჯარო სკოლამ 16 აპრილი „ღია კარის დღედ“ გამოაცხადა, მრავალრიცხოვან სტუმრებს კი, მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზა:

**VII კლასი – ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი** (მასწავლებელი – **ელენე მარი**) – ცოდნის ტრანსფერის გამოყენება (აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული და ლორენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორიები);

**VII კლასი – „კლასის საათი“** (მასწავლებელი – **ხათუნა ლომთაძე**) – რას მოგვითხრობენ ძველი ჭადრები? ( გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, ცოდნა და გაგება ბლუმის თეორიის მიხედვით);

**IX კლასი – მათემატიკის გაკვეთილი** (მასწავლებელი – **ინგა კოსტავა**) – მოდელირება ორუცნობიან განტოლებათა სისტემით (გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია);

**VIII კლასი – ფიზიკის გაკვეთილი** (მასწავლებელი – **მაია ჩხიკვიშვილი**) – სწავლება ტრანსფერისათვის (ალბერტ ბანდურას დაკვირვების გზით დასწავლა );

**XI კლასი – გეოგრაფიის გაკვეთილი** (მასწავლებელი – **ქეთევან სამსონია**) – ჯერომ ბრუნერის სწავლება აღმოჩენის გზით;

**III კლასი – მათემატიკის გაკვეთილი** (მასწავლებელი – **ეკა დარჩია**) – თითოეულ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო გეგმა. სოკრატული სწავლება;

**IV კლასი – ბუნებათმცოდნეობა** (მასწავლებელი – **ირმა დონდოლაძე**) – კითხვის დასმის ტექნოლოგია ბენჯამენ ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად.

გაკვეთილებს კოლეგებს შორის აზრთა გაცვლა და შთაბეჭდილებების გაზიარება მოჰყვა, შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია ელოდათ, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად შემოქმედებითი ნიჭი პედაგოგებმაც ჩინებულად წარმოაჩინეს.

დღე კი ფინჯან ყავასთან გულითადი საუბრით დასრულდა... ვიმედოვნებთ, რომ ამ დღემ ყველას იოლად აპოვნინა პასუხი აბეზარ კითხვაზე: საჭიროა თუ არ არის საჭირო? მე კი, ცნობილი კითხვა გამახსენა – „ყოფნა არყოფნა“.

გავბედავ და ჩემებურად ვუპასუხებ: ყოფნა, ოღონდ დროისა და მოთხოვნების შესაბამისად. ზემოთ ხსენებული გამოცდები კი, ვფიქრობ, ამ მიზნისკენ მიმავალი ერთ-ერთი, მაგრამ მრავლისმომცემი, ნაცადი და საიმედო გზაა.

***ელენე მარი***
*სერტიფიცირებული პედაგოგი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ღირსების ორდენის კავალერი*



# თბილისის ტურიზმის აკადემია

(თბილისის ტურიზმის აკადემიის რექტორის 2011 წლის 11 მაისის №11/04 ბრძანებით განხორციელდა ცვლილებები „თბილისის ტურიზმის აკადემიის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" თბილისის ტურიზმის აკადემიის რექტორის 2011 წლის 20 აპრილის №11/02 ბრძანებაში, კერძოდ: გაუქმდა კულინარიისა და მეღვინეობის მიმართულებით გამოცხადებული ვაკანსია, ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებაში გამოცხადებული ვაკანსია გაიყო ორ ნაწილად: ტურიზმის მიმართულებაში – 1 ვაკანსია და მენეჯმენტის მიმართულებაში – 1 ვაკანსია.)

**სრული პროფესორი**

ტურიზმის მიმართულებით – 1; მენეჯმენტის მიმართულებით – 1; მარკეტინგის მიმართულებით –1; ეკონომიკის მიმართულებით – 1; ფინანსების მიმართულებით – 1; ისტორიის მიმართულებით – 1.

**ასოცირებული პროფესორი**

ტურიზმის მიმართულებით – 2; მენეჯმენტის მიმართულებით – 2; მარკეტინგის მიმართულებით – 2; ეკონომიკის მიმართულებით – 2; ფინანსების მიმართულებით – 2.

**ასისტენტ-პროფესორი**

ტურიზმის მიმართულებით – 2; მენეჯმენტის მიმართულებით – 2; მარკეტინგის მიმართულებით – 2; ეკონომიკის მიმართულებით – 2; ფინანსების მიმართულებით – 2.

კონკურსის პირველი ეტაპი (2011 წლის 11-12 ივლისი) – კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და შეფასება. კონკურსის მეორე ეტაპი (2011 წლის 15 ივლისი) – კონკურსის პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (ინტერვიუს სახით ან ტექნიკური საშუალებებით).

**კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობაზე.**

დაინტერესებულ პირებს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია (საკონკურსო პირობები, კონკურსზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი) შეუძლიათ იხილონ აკადემიის ვებგვერდზე. მობრძანდნენ აკადემიაში ან დაგვიკავშირდნენ ტელეფონით.

**საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2011 წლის 23 მაისიდან 20 ივნისამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10 საათიდან 16 საათამდე (აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური).**

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე. კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა და ხელშეკრულებების დადება განხორციელდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში.

**მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 47; ტელეფონი: 93-66-03, 98-86-82**

**ვებგვერდი: www.turizmiedu.ge**

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** სამინისტროს თანამშრომლებთან გაფართოებული შეხვედრა გამართა და წარმატებულ თანამშრომლებს ღირსების ორდენი გადასცა, რომლითაც ისინი საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა.

ღირსების ორდენი წარმატებული საქმიანობისთვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელს **ნათია პაპავას** გადაეცა, ღირსების ორდენით ასევე დაჯილდოვდნენ:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი**;
- ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმის წარმოების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი **ციური გიორგაძე**;
- ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **ირმა ძიძიგური**;
- ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **მაყვალა კურდღელია**;
- თბილისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი **ამირან ჯამაგიძე**;
- თბილისის №94 საჯარო სკოლის დირექტორი **მარინა ჩაგანავა**;
- ა. რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 საჯარო სკოლის დირექტორი **გენადი მარგველაშვილი**;
- თბილისის №161 საჯარო სკოლის გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი **ალექსი კალანდაძე**;
- სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოგისტიკის ჯგუფის მთავარი ლოგისტი **მაია გაბუნია**.

დაჯილდოებულ თანამშრომლებს მინისტრმა მადლობა გადაუხადა წარმატებული მოღვაწეობისთვის და სამინისტროს საქმიანობის პროცესში მათ ღვაწლზე ისაუბრა.

შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა, ასევე, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები შეაფასა და თანამშრომლებს სამომავლო გეგმები გააცნო. მიმდინარე ინოვაციური პროექტებიდან გამომდინარე, მან სამინისტროს როლზე და მის დაქვემდებარებაში შემავალი ყველა უწყების მნიშვნელობაზე ისაუბრა. სიახლეების დანერგვის პროცესში გამჭვირვალობას, საზოგადოების სწორად ინფორმირებასა და ჩართულობას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელება, მინისტრის თქმით, თითოეული თანამშრომლის საქმიანობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რომელიც განათლების სფეროს წარმომადგენლებს ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება, მსგავს შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს.

**ინფორმაცია**

# ღვაწლმოსილი პედაგოგის საიუბილეო საღამო

სოფელ არბოშიკის საზეიმოდ მორთული კულტურის სახლი სტუმრებს ვერ იტევდა. დარბაზში ვაჟა აზარაშვილის უკვდავი მუსიკა ჟღერდა „ბედნიერებაა, როცა საზოგადოებამ, მომავალმა თაობებმა, ღვაწლმოსილი ადამიანის ფასი იციან. მათი ღვაწლი მეტად დიდია ქვეყნის წინაშე, რაც მათ სახელს დიდების შარავანდედით მოსავს. ასეთი ადამიანი გახლავთ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ორი საუკეთესო ვაჟკაცის – ბეჟან და ვაჟა გონაშვილების აღმზრდელი დედა, ექვსი შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის ბებია, ქალბატონი **მერი კოჭლამაზაშვილი**, რომლის იუბილეზე, პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად უამრავი სტუმარიც მობრძანდა. იგი ცოცხალი მატეანეა, კარგად იცის თავისი სოფლის წარსული და დღევანდელობის ფასი..." – აღნიშნა სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის დირექტორმა **მანანა ჭილიტაშვილმა** და იუბილარი სცენაზე იხმო. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, აპლოდისმენტების ფონზე, მოსწავლეებმა ჩვენი საღამოს გმირი სცენაზე აიყვანეს და სპეციალურ სავარძლამდე მიაცილეს.

მერი მასწავლებელმა თავად ისაუბრა საკუთარ ბიოგრაფიასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, თითქმის ყველა მოსწავლე გაიხსენა და სიამაყით განაცხადა – ბევრი მათგანი სახელოვანი ადამიანი გამოვიდა და წარმატებით მოღვაწეობს საზოგადოებრივ ასპარეზზე. მან ულრმესი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს: **მანანა ჭილიტაშვილს, ნანა ჭიჭინაძეს, ლია კობაიძეს, ნელი გობეჯიშვილს** და **ბელა ბელაშვილს**, ასევე, დამსწრე საზოგადოებას თბილი საღამოს მოწყობისთვის.

იუბილარს მიესალმნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**; რესურსცენტრის დირექტორი **მარინა მეხრიშვილი**; მისი ყოფილი მოსწავლე, პოეტი **მარინე ცხვედიაშვილი**; ცნობილი მხატვარი **ჯემალ კუხალაშვილი**; სოფელ არხილოსკალოს ღვაწლმოსილი პედაგოგი, მისი კოლეგა, მათემატიკის ყოფილი მასწავლებელი **დარეჯან ციგროშვილი**, რომელმაც თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ერთად გატარებული სტუდენტობის წლები გაიხსენა; ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ნანა ჭიჭინაძე**; შვილიშვილი **ნატალი გონაშვილი**, არბოშიკის საჯარო სკოლის ფიზიკის ყოფილი მასწავლებელი **ელენე ზუბიაშვილი**; ამავე სკოლის მოსწავლე **ტატო ცხვედიაშვილი** და სხვ.

საუბილეო საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა ამავე სკოლის XII კლასის წარჩინებული მოსწავლე **სოფიკო უთრუთაშვილი**. საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა ფოლკლორული ანსამბლის „ფიც-ვერცხლის" ხალხური სიმღერები და სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ სპეციალურად მომზადებული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ჩვენი მერი მასწავლებელი". დამსწრე საზოგადოება მოიხიბლა VI კლასის მოსწავლის **კობა კობაშვილის** მხატვრული კითხვით.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ კახეთის გუბერნიისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ლევან ბაღაშვილმა** და მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ შანშიაშვილმა** მადლობის სიგელით დააჯილდოვეს ღვაწლმოსილი პედაგოგი და 80 წლის იუბილარს კვლავაც ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს.

# ანსამბლი „შირაქი" იუბილარია



*ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქი" წევრები 9 აპრილის მემორიალთან*

ქართული ხალხური შემოქმედება ჩვენი ეროვნულობის ერთ-ერთი ნიშანია. ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა ქართული ცეკვისა თუ სიმღერის ანსამბლების არსებობას, რომელთაც თაობიდან თაობას უნდა გადასცენ ცოცხალი განძი, რომელსაც ფოლკლორი ჰქვია.

ამ დღეებში, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქი" ხუთი წლის საიუბილეო კონცერტი გაიმართა. დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ მოხიბლეს ანსამბლის ნორჩმა წევრებმა: **ლუკა ქისტაურმა, თორნიკე ოზბეთელაშვილმა, ლანა გორაშვილმა, თეონა** და **იზაბელა გაბრიელაშვილებმა, თათული ხუციშვილმა**, და-ძმა **ნატო** და **გიორგი პაპუაშვილებმა**, **ანასტასია ყოჩიაშვილმა** და სხვებმა, დახვეწილი ტექნიკითა და ცეცხლოვანი ცეკვებით. ღონისძიების წამყვანმა **ცარო მარტიაშვილმა** აღნიშნა: „მართალია, ამ ანსამბლის წევრები ძალიან პატარები არიან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მათ შორის დიდი ნინოს და ილიკოს გენის გამგრძელებელიც იყოს...

საიუბილეო კონცერტს საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ: თბილისიდან სპეციალურად ჩამობრძანდნენ ანსამბლ „შირაქის" ხელმძღვანელის **ალექსანდრე გაბრიელაშვილის** (რომელიც თავადაც იუბილარია – 50 წლის გახდა) მეგობრები – ანსამბლ „შავლეგოს" წევრები, რომელთაც შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები; სტუმრებს შორის იყო, ასევე, საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი **იური ტორაძე**: „ეს ქალაქი ჩემთვის უცხო არ არის, 35 წლის წინ ამ სცენაზე მეც მიცეკვია. ამიტომ განსაკუთრებით მახარებს დედოფლისწყაროელი ბავშვების წარმატება. ბატონი ალექსანდრე უკვე რამდენიმე წელია ჩვენთან მუშაობს. ანსამბლი „შირაქი", ფონდის წარმომადგენელთა შორის, აქტიურობით გამოირჩევა. ამ ანსამბლით მოიხიბლა თურქეთი, პოლონეთი, საფრანგეთი. ანსამბლის ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი ოქროს მედლით და დიპლომით დააჯილდოვეს. კვლავაც წარმატებები და ზურგის ქარი ვუსურვოთ ბატონ ალექსანდრეს და მის აღსაზრდელებს".

*მარიკა პოპიაშვილი*

სპორტი

# კარატე – პირველი მერცხალი

მოგეხსენებათ, საქართველოში მიმდინარეობს „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადა-2011“, რომელშიც ქვეყნის 35-მდე სასწავლებლის 2000 სტუდენტი მონაწილეობს. გათამაშების პროგრამაში სპორტის 20 სახეობაა, ყველაზე ადრე სტარტი კარატისტებმა აიღეს და ამ დღეებში ჩემპიონ-პრიზიორები გამოავლინეს. შეჯიბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში ჩატარდა და მხოლოდ ვაჟთა შორის გაიმართა, საბოლოო ჩათვლაში კი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა. ტექნიკოსებმა სულ 4 მედალი მოიპოვეს, აქედან თითო-თითო ოქრო-ბრინჯაოა, ორი კი – ვერცხლი. მეორეზე სასულიერო აკადემიის გუნდი გავიდა 3 ჯილდოთი – სამივე სინჯის თითო მედალი. ასევე სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ოღონდ მათ აქტივში ვერცხლი არ ჰქონდათ – 1 ოქრო და 2 ბრინჯაო დაიმსახურეს.

კარატეში, კატაში ვაჟთა შორის ჩემპიონი სტუ-ს სტუდენტი **ზვიად არაბული** გახდა, რომელმაც კუმიტეშიც იასპარეზა და 84 კილოგრამში ვერცხლი მოიპოვა. ასევე ორი მედლით დაასრულა გამოსვლა სასულიერო აკადემიის წარმომადგენელმა **ედემ ბერიშვილმა:** კარატეში – ვერცხლი, კუმიტეში კი – 67 კილოგრამში ბრინჯაო. სხვათა შორის, მან უნივერსიადაზე, შარშანაც, ორი მედალი დაიმსახურა. კარატეში მესამე ადგილებზე **თენგიზ კვერცხიშვილი** (სეუ) და **გიორგი გოჩიტაშვილი** (საქართველოს უნივერსიტეტი) გავიდნენ.

კუმიტეში, ვაჟებში, 60კგ წონით კატეგორიაში, ჩემპიონი **დავით ტყებუჩავა** (სასულიერო აკადემია) გახდა, 67-ში – **დავით პატარიძე** (რკინიგზის უმაღლესი სასწავლებელი), 75-ში – **ჰენრი ვეკუა** (აგრარული უნივერსიტეტი), 84-ში – **გიორგი ლიპარტელიანი** (ილიას სახელობის უნივერსიტეტი).

ახლა უნივერსიადაში მაგიდის ჩოგბურთის ჯერია – შეჯიბრება უკვე მიმდინარეობს საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზში.




# პირველი ლედი და კარატე



საქართველოში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სულ უფრო ინტენსიურად ტარდება „ოლიმპიური გამოწვევის“ შეჯიბრებები მოზარდთა შორის. ამჯერად მსგავსი წარმომადგენლობითი ღონისძიება კარატეში გაიმართა, რომელსაც ნაძალადევში მდებარე სპორტსაზოგადოება „მართვეს“ დარბაზმა უმასპინძლა. იქაურობა ახლახან გაარემონტეს და შედეგად დედაქალაქმა კიდევ ერთი მშვენიერი ბაზა მიიღო საჩუქრად. მართალია, საერთაშორისო სტანდარტების არ არის, მაგრამ ამაზე არც იყო გათვლილი. სამაგიეროდ, რაზეც გათვალეს, ამ ფუნქციას ჯერჯერობით მშვენივრად ასრულებს – თბილისელ მოზარდებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშის ჩინებული პირობები აქვთ. ახლა მათ აღარ აწუხებთ ჩაბნელებული, ცივი დარბაზი, სადაც გათბობასა და შხაპზე ლაპარაკი ზედმეტი იყო; აღარც აყრილ-დაყრილ იატაკში უვარდებათ ფეხი და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, რატომ შეარჩიეს „ოლიმპიური გამოწვევისთვის“ ეს დარბაზი, თუმცა ამ შეჯიბრმა საზოგადოების ყურადღება უფრო იმით მიიქცია, რომ ქვეყნის პირველი ლედი – **სანდრა რულოვსი** ესწრებოდა. პირველი ლედი სპორტის დიდი მოყვარულია, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტიცაა და თავისუფალ დროს აქტიურადაა ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში. მასთან ერთად შეჯიბრებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები – **გიორგი გალდავა** და **დავით ნამგალაურიც** ესწრებოდნენ. ტურნირში 4-დან 15 წლამდე ასაკის 100-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. მათ საჩვენებელი გამოსვლები წარმოადგინეს. ასეთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებას პირველი ლედიც მიესალმა და ყურადღება ქართული სპორტის ერთ საჭირბოროტო საკითხზე გაამახვილა – საკლუბო სისტემაზე, რაც უცხოურ სპორტში ჩვეულებრივი ამბავია, ჩვენთან კი – შორეული მირაჟი. „კარატეთი საქართველოში 8 ათასამდე ბავშვია დაკავებული, რომლებიც სკოლების გარდა, ბაგა-ბაღებშიც რეგულარულად ვარჯიშობენ. ნელ-ნელა ეს ყველაფერი კლუბურ სისტემაზე გადადის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იმედია, ეს ბავშვები თავს მალე საერთაშორისო ტურნირებშიც ისახელებენ“ – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

# ვერცხლი აზერბაიჯანიდან

ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 21-26 ივნისს სერბულ ზრენჯანინში უნდა გაიმართოს. ამ მიზნით, ჩავლილ უქმეებზე, აზერბაიჯანში, მათ ქალაქ ნახიჭევანში იასპარეზეს ქალაქის სახელობის თასზე. რადგან ტურნირი გუნდური ფორმატით ტარდებოდა, მწვრთნელები შემადგენლობაში შეზღუდულები იყვნენ. ამიტომ გუნდის თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** წონაში მხოლოდ თითო კაცი წაიყვანა: **ნიკა ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120). ტურნირში 10 ნაკრები მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად გაყვეს. ჩვენებთან ერთად უკრაინის, ირანის, ყაზახეთისა და ნახიჭევანის გუნდები მოხვდნენ. ადეიშვილის შეგირდებმა სამივეს სძლიეს, მაგრამ ფინალში ვერაფერს გახდნენ აზერბაიჯანის მთავარ ნაკრებთან და 2:6 დამარცხდნენ. ჩვენგან ფინალური შეხვედრები ჩაკვეტაძემ და დიხამინჯიამ მოიგეს. თუმცა, დიხამინჯიამ არა მარტო ფინალში, არამედ წინა ორთაბრძოლებშიც იმარჯვა და ქართველთაგან ერთადერთმა დაამთავრა შეჯიბრება 100%-იანი შედეგით. მან წლეულს საქართველოს პირველობაც მოიგო უფროსებში და რა გასაკვირია, ახალგაზრდულ ნაკრებში თუ გამოკვეთილი ლიდერია.

პრაქტიკულად, უკვე გარკვეულია ნაკრების შემადგენლობაც, რომელიც ზაფხულში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს, თუმცა ჯერ კიდევ ღიად რჩება ორიოდე წონის საკითხი. ამიტომ, გუნდის დასახელებას არც ადეიშვილი ჩქარობს. 18-20 მაისს გუნდის ნაწილი ერევანში გამოვა საერთაშორისო ტურნირზე – მწვრთნელები იქ სწორედ სადავო წონების კონკურენტებს გააგზავნიან, დანარჩენებს კი შეკრებაზე წაიყვანენ დუშეთში. საევროპო ნაკრებსაც სომხეთის შემდეგ გამოაცხადებენ.

# პატარა მორაგბეების მორიგი წარმატება

საბედნიეროდ, ქართველი მორაგბეებისგან წარმატება აღარ გვიკვირს არც ერთ ასაკობრივ დონეზე. წინა ნომერში 18-წლამდელთა მიღწევაზე გაცნობეთ – ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები, ამჯერად კი 15-წლამდელთა წარმატებულ ფრანგულ ტურნეზე გესაუბრებით.

ჩვენებმა საფრანგეთში ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა – ვიენასა და კორსიკაზე, რომელთაგანაც კუნძულზე გაიმარჯვეს, პირველში კი ფინალი წააგეს და მეორე ადგილზე გავიდნენ. საფრანგეთში მათ სულ 18 მატჩი გამართეს და მხოლოდ ამ ერთში დამარცხდნენ, ერთიც ფრედ დაასრულეს, დანარჩენი 16 კი მოიგეს.

ვიენაში გამართულ პირველ ტურნირში ჩვენებმა ფრედ სწორედ მასპინძლებთან იმარჯვეს – 5:5. ეს მეოთხედფინალში მოხდა, ამ შემთხვევაში კი, დებულებით, ნახევარფინალში გამსვლელი ჯერ ლელოების, მერე კი წითელი ბარათების რაოდენობას უნდა გამოევლინა. ამ შეხვედრაში მეტოქეებმა თითო ლელო გაიტანეს, წითელი ბარათები საერთოდ არ ყოფილა, ყვითლები კი ჩვენებს მეტი ჰქონდათ. მასპინძლებიც გამარჯვებულად ვიენელთა გამოცხადებას აპირებდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა დებულების ერთ ლაფსუს ჩაეჭიდა (ევროპელებსაც მოსდით მსგავსი რამეები) – მასში საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი ყვითელ ბარათებზე. ამიტომ, ჩვენებმა გამარჯვებულის დამატებითი კრიტერიუმით გამოვლენა მოითხოვეს, საამისოდ კი არეკნებში გაჯიბრება შესთავაზეს. მასპინძლებსაც რაღა ეთქმოდათ – დაჰყაბულდნენ და ვინ იცის, მერე მწარედაც ინანეს, რადგან არეკნებში ჩვენებმა ივაჟკაცეს და მოიგეს. ამის შემდეგ ქართველებმა, ნახევარფინალში, ბურგუენის გუნდი დაამარცხეს 12:0 და ფინალში კიდევ ერთ ფრანგულ კლუბს – „სენ ჟორჟს“ შეხვდნენ. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა ივარგეს, ორი ლელოთი – 12:0 მოიგეს.

არ გეგონოთ, ამ შეჯიბრებებში მხოლოდ ფრანგული კლუბები მონაწილეობდნენ – უცხოელებიც იყვნენ. მათ შორის, რაგბის მექად წოდებული ახალი ზელანდიიდანაც. ჩვენები სწორედ იქაურ „ქრაისჩერჩს“ დაუპირისპირდნენ ფინალში და დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს - 47:0. საერთოდ, ამ ტურნირის ყველა შეხვედრა ხომ მოიგეს, უმეტესობაში სოლიდური სხვაობით იმარჯვეს – კორსიკელებს 40:0 აჯობეს, ვიენის ორ გუნდს შეხვდნენ და ერთს 64:0, მეორეს კი 57:0 მოუგეს, „მარსელი“ 38:0 დაამარცხეს, შედარებით მცირე სხვაობით კი კორსიკელთა III გუნდი დაჯაბნეს ნახევარფინალში – 17:0. თუმცა, ამ შეჯიბრებიდან ყველაზე საინტერესოა ის არგუმენტი, რომლითაც ზელანდიელებს უმართლებიათ თავი ჩვენთან მარცხისთვის – ამ ნაკრების მოთამაშეები 600 ბავშვიდან ავარჩიეთ, ეს კი სელექციისთვის საკმარისი არააო. არადა, იმათ რომ იცოდნენ, ჩვენებმა რამდენ კანდიდატს შორის აარჩიეს... საბედნიეროდ, რაგბი ჩვენში უკვე იმდენად პოპულარულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 600 მოვარჯიშე ბავშვი აღარ გვიკვირს, მაგრამ ისინი მხოლოდ ერთ რეგიონზე საუბრობდნენ, ჩვენთან კი ეს, ქვეყნის მასშტაბითაც, დიდი ციფრია.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

## სიახლე!




### მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

### საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.







### ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

**ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:**

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

## ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 30 მაისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შეუკვეთეთ!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი



„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K